ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**„ქართულ ოცნებას“ ერთი სული აქვს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მოიშოროს“** გვ.3

**15 იანვრიდან**

ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2019 №12 (7867) ფასი: 60 თეთრი

# სუსს ივანიშვილის დავალებით გახარია გააკონტროლებს



გვ.3

## წავა თუ არა ვახტანგ გომელაური



გვ.4

## კახა კუკავა: „საქართველოში სასამართლო და პროკურატურა ივანიშვილის ოჯახს ემორჩილება“

ჩვენ ივანიშვილი გავიცანით მაშინ, როდესაც დაიწყო სამების ეკლესიის მშენებლობა, როდესაც სრულიად უსამართლოდ მას უწოდეს მეცენატი. ეს ადამიანი არის ელცინის პერიოდის ჩვეულებრივი ოლიგარქი, თავისი კრიმინალ-მაფიოზური სტრუქტურებით და, როგორც იქ ჰყავდა მოსამართლე და გუბერნატორი მოსყიდული და ამ გზით შოულობდა ფულს, ისეა აქაც. მან მხოლოდ ეს მეთოდი იცის.

## „ბესელია კრამიტების გადამტვრევით იმუქრებოდა“

გვ.4



სოსო ცინცაძე: „ჩვენთან კულისებს მიღმა, გარიგებების პოლიტიკაა და ის ხდება ახლა“

## მამუკა ბახტაძე ბოლნისში ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა



ბოლნისში 15 იანვარს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების არაფორმალური შეხვედრა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, მამუკა ბახტაძემ ნიკოლ ფაშინიანს სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა პირადად მიულოცა.

მთავრობის მეთაურებმა ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ისაუბრეს და ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელების იმედი გამოთქვეს.

**სამართალი** გვ.7



**30 წლის მამაკაცს, რომელიც 9 წლის გოგოს ფოტოების გამოქვეყნებით ემუქრებოდა, პატიმრობა შეეფარდა**



**„2 შვილი სახლში ელოდებოდა, 3 და 4 წლის... გოგო 7 თვის ფეხმძიმე იყო“**

ავარიაში გორთან ცოლ-ქმარი დაიღუპა

**3 ახალგაზრდა მანქანაში დაიწვა**




ტრაგედია ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე

**ეკონომიკა** გვ.6



**ბიზნესის პოზიცია უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა სიაზე: „არ შეიძლება ამის დაშვება, რადგან სახელმწიფო ჩამოგვეშლება!“**

**დასაქმებულთა უმრავლესობა საქართველოში დასაშვებზე ხანგრძლივად მუშაობს**





**ბოსტნეულის წარმოებამ ივანიშვილი 4 მილიონით აზარალა**

**კოკა-კოლას ქარხნის ტერიტორიაზე უბნის მშენებლობით დეველოპერები არ ინტერესდებიან**



ISSN 1987-9385

**5** ზურაბ ჯაფარიძე: „ჩვენს სკოლებში ბავშვები სიხარულით ივლიან“

**2** ანზორ აბრალავა: „მორალი, განათლება და პატრიოტიზმი დასჯადია“

**2** „ივანიშვილს მოსამართლეთა ეს სია ძალიან აწყობს“

**6** მექიაურმა კანონი დაარღვია: საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს რეგისტრაციის ადგილი შეუცვალა

# „ივანიშვილს მოსამართლეთა ეს სია ძალიან აწყობს“

## ლია მუხაშავრია: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“

ნათია ხურცილავა

**იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიაზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ლია, დავით მათიკაშვილი აცხადებს, რომ სამუშაო ჯგუფის განსაზღვრა გუნდში უნდა მოხდეს. შეიძლება იგივე სია იყოს წარდგენილი და ეს ხალხი გავიდეს?***

– თუ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება, მედია, უფლებადამცველები ბრძოლას გავაგრძელებთ ამ უმსგავსობის წინააღმდეგ, მაშინ ვერ გავა. ვერანაირად ვერ გავა, რაც უნდა თქვას ბატონმა მათიკაშვილმა. ეს უფრო დროის გაყვანის ტაქტიკას ჰგავს, მაგრამ ბრძოლას მაინც აქვს აზრი. თუ დავიჯერებთ იმ ზღაპარს, რასაც ახლა მათიკაშვილი გვეუბნება, მაშინ, რასაკვირველია, გავა.

***– მაინც ვის ეკუთვნის ეს სია, ივანიშვილს?***

– რასაკვირველია. ეს სია უცებ გაჩნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მდივნის ხელში ისე, რომ საბჭოს საერთოდ არ უმსჯელია და არავის კანდიდატურა წინასწარ არ



განუხილავს და არ დაუსახელებია. ეს სია ასე ჩუმად გაჩნდა და გაეგზავნა პარლამენტს, ეს იყო საოცრება. არავის ხმა არ ამოუღია გარდა ორი არამოსამართლე წევრისა.

მოსამართლე წევრებს შორის შეთანხმებული იყო, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის სია. თავად ეს სცენარი უკვე ყველასთვის გასაგებს ხდიდა, თუ რაში იყო საქმე. წინასწარი დასახელებაც კი არ მომხდარა ამ ადამიანების, არადა საუბარია ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის უვადო მოსამართლეებზე.

***– ივანიშვილმა ვერ გათვალა საზოგადოების პროტესტი, რომელიც აუცილებლად მოჰყვებოდა ამ შემადგენლობას?***

– აქ უმთავრესი არის ის, რომ ეს სია ივანიშვილს ძალიან აწყობს. ივანიშვილი ზის ბუჩქებში, მას არანაირი კანონისმიერი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მას აწყობს, რომ უზენაეს სასამართლოში თავისი ე.წ. მოსამართლეები ჰყავდეს, რომლებიც მის ნებისმიერ ნება-სურვილს სასამართლო გადაწყვეტილების სახეს მისცემენ. რაც უნდა სასამართლო ინსტანციები გაიაროს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ და მოიგოს ეს ინსტანციები, მას უზენაეს სასამართლოში ანუ ბოლო ინსტანციაში დახვდება მოსამართლე, რომელიც ამ ყველაფერს გააუქმებს.

მერე წლების მანძილზე იარე სტრასბურში და ელოდე, როდის განიხილავენ, ამასობაში აქ ესენი ამ ყველაფერს თავის ნებაზე გადაატრიალებენ და გადმოატრიალებენ, მათ შორის არჩევნების შედეგებს, მათ შორის გაყალბებებს, მათ შორის კრიმინალს, ქონების წართმევას, ბიზნესის დათრევას და ყველა იმ უბედურებას, რაც ჯერ კიდევ არ ვიცით და გავიგებთ, თუ ეს პროცესი გაგრძელდა და მივიდა იმ დასასრულამდე, რაც განზრახული აქვთ.

***– თუ ასეა, მაშინ ეს ბრძოლა წაგებულია.***

– არა, ასე არ არის. ვისაც დაავიწყდა, მას უნდა გავახსენო, რომ ეს ხელისუფლება და ყველა სხვა ხელისუფლებაც ჩვენ მიერ დროებით არის არჩეული. დროებით მივეცით მანდატი, რომ ჩვენ გვემსახურონ და არა პირიქით.

ვინც შეეცდება ამ ფუნდამენტური, კონსტიტუციური პრინციპების გაუკუღმართებას, ის აუცილებლად წააგებს, მაგრამ ამას უნდა დრო და ძალისხმევა. ამიტომ, საზოგადოებამ ხელები არ უნდა ჩამოუშვას, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. არ აქვს მნიშვნელობა, მტერი გარეშე იქნება თუ შიდა, ვინც ქვეყანას საკუთარ ჩოხაახალუხად აქცევს, ყველას უნდა ვებრძოლოთ.

***– ახლა კრიტერიუმების განსაზღვრაზეა საუბარი, რისთვისაც უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. რა უნდა იყოს განმსაზღვრელი? ჩვენ ვიცით, რომ ამ სიიდან ზოგიერთი უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალია.***

– კრიტერიუმები ნამდვილად უნდა არსებობდეს. კრიტერიუმების არარსებობა ხელს აძლევს უმაღლეს საბჭოს, რომ ასეთი უმსგავსო ქმედება ჩაიდინოს და წარადგინოს ის სია, რომელიც წარადგინა.

კრიტერიუმების არსებობა იძლევა შესაძლებლობას, რომ 10 ვაკანსიაზე 20 კანდიდატი და მეტი იყოს განხილული და არა პირდაპირ ის 10 და ყველა დანარჩენს უარი ეთქვას.

კრიტერიუმების არსებობა იძლევა შესაძლებლობას, რომ ვიღაც არ შეეგუება უსამართლობას და გაასაჩივრებს. ამიტომ ვამბობ, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის წაგებული და ბრძოლის გაგრძელებას ჯერ კიდევ აქვს აზრი.

***– არამოსამართლე წევრების, ნაზი ჯანეზაშვილისა და ანა დოლიძის საკანონმდებლო წინადადება კონკურსს ითვალისწინებს. კონკურსი უნდა გამოცხადდეს?***

– როდესაც კრიტერიუმებს ადგენ და ამ კრიტერიუმებს ვიღაც შეესაბამება და ვიღაც ვერა, ცხადია, ეს ავტომატურად კონკურსს გულისხმობს.

დიახ, კონკურსი უნდა გამოცხადდეს, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს.

---

მარიამ მჭედლიშვილი

# ანზორ აბრალავა: „მორალი, განათლება და პატრიოტობა დასჯადია“

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.**

***– იკვეთება თუ არა ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე პოლიტიკური გადაჯგუფებების ნიშნები?***

– ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შესაძლოა, გავხდეთ გადაჯგუფებების და ახალი პარტიების შექმნის მომსწრენიც. ამგვარ მოვლენებს ეს ახლავს. ჯერჯერობით, ასეთ რამეს ვერ ვამჩნევ. პოლიტიკური თანაფარდობა ისევ უთანასწოროა. შეიძლება, გადაჯგუფებები არც მოხდეს.

***– ძლიერ „ქართულ ოცნებას“ ისევ არ ჰყავს კონკურენტი? საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა სხვა სურათი აჩვენა.***

– პირველ ტურამდე იყო შეცდომები, არ იყო საკმარისი მობილიზება. იმ ხალხმა, ვისი ბრალიც იყო ეს, შეიგნო, რომ სხვა კანდიდატის გამარჯვება მას შეეხებოდა და დააზარალებდა. მოხდა მობილიზაცია, გააქტიურება და მეორე ტურში გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა. ამისი მთავარი მიზეზი ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი და შესაძლებლობებია.

***– პოლიტიკური ალიაქოთის ერთ-ერთი საბაბი სასამართლო სისტემა და რამდენიმე მოსამართლე გახდა.***

– ამაზე გავრცელებული მოსაზრებებისაგან განსხვავებული პოზიცია მაქვს. იმ დროს, როცა სათანადო შეფასებას არ აძლევ 9-წლიან პერიოდს, ჯობი 2 ან 3 მოსამართლეზე არ უნდა გადატეხო. ეს 9-წლიანი პერიოდი უმძიმესი დანაშაულის წლებია. დანაშაულებრივი იყო სააკაშვილის მიერ შექმნილი მთელი სისტემა. იმ სისტემაში იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ახლაც არიან სასამართლო სისტემაში. გასასამართლებელია დამნაშავე ყოფილი მმართველი პარტია და არა – 2-3 მოსამართლე.

ფაშისტური გერმანიის რეჟიმი რომ გასამართლდა, გასამართლებულთა შორის მოსამართლეები არ ყოფილან. ჩვენთან გაუგონარი ამბებია – პარლამენტის ე.წ. ოპოზიცია გავსებულია იმ ხალხით, რომელიც საკვანძო როლს ასრულებდა სააკაშვილის სისხლიან სისტემაში, ასევე იმ ადამიანებით, რომლებიც იყვნენ სახელმწიფო და სამხედრო საბჭოში და მათ გვერდით.

***– ვის გულისხმობთ?***

– ოთარ კახიძე, რომელიც ახლა დემოკრატიის ბაირახტარად გვევლინება, სააკაშვილის დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო, რომან გოცირიძე კი კიტოვანი-სიგუას გვერდით იდგა. მათი ერთად ყოფნის ამსახველი ვიდეოკადრებიც უამრავია.

ყოფილი ნაციონალებიდან ზოგი გადავიდა „ოცნებაში“. ვიცე-სპიკერი ჩუგოშვილი 2007 და 2011 წლებში არასამთავრობო სექტორში საქმიანობდა, მაგრამ მას ნაციონალების ზოგიერთ წევრზე მეტი აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე. ჩუგოშვილი სააკაშვილის დანაშაულს იწონებდა და წინასწარ მწვანე შუქს უნთებდა. „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის მმართველობა უნდა შეეფასებინა და დაესაჯა გადაწყვეტილებების მიმღებები.

**ჩუგოშვილი სააკაშვილის დანაშაულს იწონებდა და წინასწარ მწვანე შუქს უნთებდა. „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის მმართველობა უნდა შეეფასებინა და დაესაჯა გადაწყვეტილებების მიმღებები.**

ზვიად გამსახურდიას სდევნიდნენ და სჯიდნენ, მაგრამ როცა ის ხელისუფლებაში მოვიდა, არც გენპროკურორი რაზმაძე გადაუყენებია და არც შს მინისტრის მოადგილე გვენცაძე.

ქვეყანას, მმართველ პარტიას არ გააჩნია იდეოლოგია, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა მოვლენების შეფასება და ქვეყნის მართვა. სააკაშვილს ჰყავდა თავისი არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც მას ზომიერად და იშვიათად აკრიტიკებდა, ძირითადად კი მხარს უჭერდა. ამ ჯგუფს იმდროინდელ დანაშაულებზე კრინტი არ დასცდენია, ახლა კი გაუჩერებლად ყვირის.

***– სასამართლო სისტემაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე?***

– მაგაზეც და ბევრ სხვა რამეზეც, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებაზე.

***– სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მთელ საზოგადოებას არ უნდა.***

– უნდა შეიზღუდოს ცილისწამება და შეურაცხყოფა.

***– სამოქალაქო წესით, ეს ქმედებები ისედაც დასჯადია.***

– ცილისწამებისთვის, სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულისთვის უნდა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა. თორემ, ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა. ცილისწამებას ნაცმოძრაობა მიმართავს ხშირად.



***– შექმნილი მდგომარეობა, სააკაშვილის მმართველობის შეუფასებლობა არ არის „ქართული ოცნების“ ბრალი?***

– როგორ არ არის! ახლა უნდათ, დაუპირისპირონ ხალხი რამდენიმე მოსამართლეს.

***– საზოგადოების უმრავლესობა სასამართლოს პრობლემიდან გადადის სხვაზე და უფრო მეტად ლაპარაკობს იმაზე, რომ „ოცნებაში“ ყველამ ჯიბე გაისქელა, ხალხი კი უმძიმეს მდგომარეობაშია.***

– პოლიტიკაში ბევრი მართლაც ფულის საშოვნელად მოდის. აკადემიურ წრეებს, პროფესიონალებს ტელეეთერებს გვიხშობენ. მორალი, განათლება და პატრიოტობა დასჯადია. ასე იყო წინა წლებში და ახლაც ასეა.

ნაციონალური მოძრაობა იმისთვის, რომ პოლიტიკაში იტივტივოს, ბიზნესმენებს აქეზებს. ამას აკეთებენ ამ პარტიის იდეოლოგები, ე.წ ანალიტიკოსები რუსთავი 2-დან, კვესიტაძე და გვარამია. ისინი მოუწოდებენ მამუკა ხაზარაძეს, იბრძოლოს. ირწმუნებიან, რომ მას პოლიტიკურად ებრძვიან. ამ საქმის დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ამ საქმეს პოლიტიკასთან რა საერთო აქვს? გვარამიას ჰგონია, რომ თუ ხაზარაძეს წააქეზებს, ეს ტელევიზია მას დაეხმარება და თავისას მიაღწევენ.

ნაციონალებს და მათგან გამოყოფილებს საკრებულოშიც „შესაფერისი“ ხალხი ჰყავთ. საკრებულოს წევრია გოკა გაბაშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას იარაღით ებრძოდა. კიტოვანი-სიგუას სტრუქტურებში იყვნენ რესპუბლიკელებიც, რომლებიც არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ნაცმოძრაობასთან გაერთიანდნენ. როცა დაინახეს, რომ მათმა კანდიდატმა წააგო, განზე გადგნენ.

ვაი-უშველებელი იუსტიციის საბჭოზე და სასამართლოზე ატეხილი აქვთ არაკომპეტენტურ იურისტებს. ისინი მარტო იმეორებენ ზოგად ფრაზებს დემოკრატიასა და თავისუფლებაზე. პროფესიონალებისთვის ტრიბუნა დახშულია. ერთი და იგივე ჯგუფი ცდილობს ხალხი დაატაკოს რამდენიმე მოსამართლეს იმ დროს, როცა მაშინდელი რეჟიმის შემოქმედები და წინა წლების დამნაშავეები დაუსჯელად დადიან.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ ერთი სული აქვს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მოიშოროს“

## გიგლა ბარამიძე: „გამომურუსიძებული ხელისუფლება ოკუპირებული რეგიონების არაღიარებისთვის არაფერს აკეთებს“

შორენა მარსაგიშვილი

**მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება პრემია-დანამატების გამოწერითა და უძრავ-მოძრავი ქონების შეძენით არის დაკავებული, რუსი ოკუპანტები და მათი საყმო – აფხაზები და ოსები – მთელ მსოფლიოს არიან მოდებული და სოხუმისა და ცხინვალის აღიარებაზე მუშაობენ.**

ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის ლიდერები ანატოლი ბიბილოვი და რაულ ხაჯიმბა ამ დღეებში სამხრეთ ამერიკას სტუმრობდნენ. ისინი ოფიციალური ვიზიტით ვენესუელაში იმყოფებოდნენ, სადაც რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდნენ.

საქართველოს ხელისუფლებამ ეს ყველაფერი გაატარა, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალი კამბოჯის ნაწილი იყოს და არა – ჩვენი. „ოცნებისთვის“ ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე უფრო პრიორიტეტული მურუსიძე-ჩინჩალაძის დაცვაა.

ყოფილი პოლიტდევნილი და სომხეთში საქართველოს ყოფილი ელჩი გიგლა ბარამიძე მიიჩნევს, რომ საგარეო პოლიტიკის ასეთი იგნორირება ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

გაგრძელდება თუ არა ცხინვალისა და სოხუმის აღიარება, რა პოლიტიკა აქვს „ოცნებას“ ოკუპირებული რეგიონების მიმართ? – ამის შესახებ გიგლა ბარამიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

– გამუდმებით მიწევს ხელისუფლების კრიტიკა და ვიღაცამ შეიძლება, ეს ჩასაფრებული კაცის პოზიციად შეაფასოს. მე „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპებზე ვარ გაზრდილი და ამიტომაც ვაკრიტიკებ ხელისუფლებას. ნეტავ რამე საქმე გააკეთონ და საერთოდ დავდუმდები, არაფერზე გავაკეთებ კომენტარს.

ამ სიტუაციაში კი ნამდვილად ვერ გავჩუმდები, როცა ვხედავ, როგორ მართავენ შეხვედრებს ოკუპირებული რეგიონების ლიდერები სამხრეთ ამერიკაში. საქართველოს ხელისუფლება ამაზე დუმს.

***– ხელისუფლების დუმილი რითია გამოწვეული?***

– ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება. „ქართულ ოცნებას“ სექტა შევარქვი. მათ კულაკური ფსიქიკა აქვთ და საშვილიშვილოდ იწყობენ ცხოვრებას. მატერიალური კეთილდღეობის გარდა, მათ მეტი არაფერი აინტერესებთ. ყველა ივანიშვილის გავლენასა და სიმდიდრეს არის აკიდებული და, სანამ შეუძლიათ, მაქსიმალურად ხაპავენ ყველაფერს.

იმის ნაცვლად, რომ ოკუპირებულ რეგიონებზე თქვან რამე, ერთი კვირაა, იმაზე გვესაუბრებიან, როგორ გაურემონტეს ერთ-ერთ დეპუტატს კაბინეტი.

ერთი მაღალჩინოსანი იმას გვიყვება, რომ ოთხი ბინა აჩუქეს გასულ წელს, მაგრამ ეს ბინები ერთოთახიანებია და რა მოხდა მერეო. სხვა ჩინოსანი შემოგვჩივის, ოთხსართულიან სასახლეს მეხუთე სართულს იმიტომ ვერ ვადგამ, რომ ფული არ მყოფნისო.

აი, ამ დონეზეა დასული ხელისუფლება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ხელისუფლება კი არა, სექტაა, სადაც კულაკური ფსიქიკის მქონე ადამიანები არიან. ჯერჯერობით სექტას ყველაფერი გასდის.



***– რატომ გასდით ყველაფერი?***

– იმიტომ, რომ ხალხია გაჩერებული. ესენი ამით სარგებლობენ და პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ მხოლოდ. ამ დროს მსოფლიოში ბევრი რამე იცვლება. დონალდ ტრამპი აშშ-ის ერთადერთი პრეზიდენტია, რომელმაც თქვა, რომ მისი ქვეყანა მსოფლიო ჟანდარმი არ არის და ვაშინგტონი ყველაფერზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს.

ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრი რამე იცვლება. შეიცვალა კიდევაც. აშშ-მ სირიიდან ჯარების გამოყვანა დაიწყო. იქ პოზიციებს იმყარებს თურქეთი. კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები რუსეთმა. მას ამაში ისრაელმა დაუჭირა მხარი.

უკრაინაში საერთოდ საშინელება ხდება. ეფემერული თავისუფლება იძახეს და მიწები დაკარგეს. ახლა ავტოკეფალიას გაიძახიან და უკრაინული ეკლესია სამად გახლიჩეს.

ამ დროს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებები სამხრეთ ამერიკაში ოფიციალური ვიზიტებით დადიან. სექტას ამაზე ასეთი პასუხი აქვს – მერე რა მოხდა, ნიკარაგუასა და ვენესუელაში თუ წავლენო.

თქვე გამომურუსიძებულ-გამოჩინჩალაძებულო „ოცნებავ“, იმდენი მაინც არ იცით, რომ ნიკარაგუა და ვენესუელა საქართველოზე ხუთჯერ დიდია? ან ის არ გაგიგიათ, რომ მათი ბიუჯეტი ჩვენსას ათჯერ და მეტჯერ აჭარბებს? ვენესუელაზე როგორ იცინით, ახლახან იქ მინიმალური ხელფასი 300%-ით გაზარდეს.

სექტის გარდა, ვენესუელა-ნიკარაგუაზე ჩვენი საზოგადოებაც იცინის. ეს ჩვენი უერთადგილო ყარაჩოღლობის მაჩვენებელია. იმასაც კი ვერ ვხვდებით, რომ ეს უერთადგილო ყარაჩოღლობა გვღუპავს. არც ერთ ქვეყანაზე აგდებულად საუბარი არ შეიძლება. მოგვწონს თუ არა, ვენესუელაც და ნიკარაგუაც სახელმწიფოები არიან.

***– საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთი და ცხინვალი შეიძლება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმაც აღიარონ. გველოდება ამ მიმართულებით რაიმე სიურპრიზები?***

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მიბაძავს ვენესუელასა და ნიკარაგუას. აქ მთავარია, ჩვენ რას ვაკეთებთ ამ მიმართულებით. გამომურუსიძებული ხელისუფლება ოკუპირებული რეგიონების არაღიარებისთვის არაფერს აკეთებს.

ამ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე რომ ვიცინით, ის რატომ გვავიწყდება, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის ლიდერები ევროპის ქვეყნებშიც იყვნენ ოფიციალური ვიზიტებით.

***– ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებული ბიბილოვია – ის ოფიციალური ვიზიტით სერბეთშიც იყო და იტალიაშიც. ამაზე „ოცნებას“ ასეთი პასუხი აქვს, რა მოხდა მერეო.***

– ყველაფერზე რა მოხდას იძახიან. რა მოხდას იძახიან, როცა ესა თუ ის ჩინოსანი ათეულობით მილიონს იპარავს. ანაკლიის პორტის მიმართულებიდან მილიონები რომ გაქრა,



### „ქართველებს უერთადგილო ყარაჩოღლობა დაგვღუპავს“

მაშინ ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი იყო. მის მიმართ თავად „ოცნებას“ ჰქონდა კითხვები. იმის ნაცვლად, რომ პასუხი მოეთხოვათ, გერმანიაში გაუშვეს – ცოლ-შვილი მოენატრაო.

ყველაფერზე რომ გაიძახიან, რა მოხდა, რა მოხდაო, მაგიტომაც აღარ არის საქართველო ქვეყანა.

ამ სექტანტებს საერთოდ დაავიწყდათ, რომ არსებობს ასეთი მიმართულება – საგარეო პოლიტიკა. ან ვინ უნდა აწარმოოს ეს პოლიტიკა. ზორბა ბიჭი რომ გვყავს პრემიერად, ეგ წავა სადმე მოლაპარაკებებზე?

საგარეო ფრონტზე არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. სამაგიეროდ, პირადი კეთილდღეობის მოწყობა ეხერხებათ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ასეთი ჯიბეზე გადაყოლილი ხელისუფლება არ ჰყოლია.

აფხაზეთსა და ცხინვალს საერთოდ არ ახსენებენ. ერთი სული აქვთ, სოხუმი და ცხინვალი მოიშორონ. მათი პრეზიდენტად წოდებული ქალბატონი აფხაზეთს განგრენას ეძახის. „ოცნებაში“ შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები საჯაროდ ამბობდნენ, აფხაზეთი უნდა ვაღიაროთო.

***– რესპუბლიკელებზე საუბრობთ?***

– ეგენი ითხოვდნენ აფხაზეთის აღიარებას. „ოცნებაში“ მათი პოზიციის შესახებ კარგად იცოდნენ, მაგრამ მაინც მიიღეს კოალიციაში.

„ქართულ ოცნებას“ საგარეო მიმართულება მიშვებული აქვს და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ კიდევ რომელიმე ქვეყანა აღიარებს სოხუმსა და ცხინვალს.

არაღიარების პოლიტიკას ვინ ჩივის, იმაზეც არ ზრუნავენ, რომ ნაციონალების დროინდელ დამნაშავეებზე ინტერპოლს მიმართონ. საააკაშვილის დაბრუნებით რომ აშინებენ ხალხს, რატომ არ გამოაცხადეს მასზე საერთაშორისო ძებნა? ან გსმენიათ რამე, რომ ამირან მესხელთან აქვთ პრეტენზიები? არადა, როგორც თავად ამბობენ, ეს კაცი მთელ საქართველოს უსმენდა.

დავით კეზერაშვილმა საერთოდ დაალაგა „ოცნებასთან“ ურთიერთობა. ამის შესახებ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ.

# სუსს ივანიშვილის დავალებით გახარია გააკონტროლებს

## წავა თუ არა ვახტანგ გომელაური

შორენა მარსაგიშვილი

**ქვეყნის მთავარი მეოცნებე მთავრობაში სერიოზულ ცვლილებებს ამზადებს. „ოცნების“ შემქმნელის მთავარი სამიზნე ამჯერად ძალოვანი სტრუქტურებია. არადა, ჯობდა, ეკონომიკური გუნდით დაეწყო. ეკონომიკის მინისტრის განცხადებები უკვე არანაირ ჩარჩოში აღარ ეტევა.**





ჩარჩოებსა და კრიტიკას ვერც ძალოვნები უძლებენ. ქვეყანაში ისეთი კრიმინოგენური ვითარებაა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი მინიმუმ სამჯერ მაინც უნდა იყოს გამოცვლილი, მაგრამ, რაც ერისთვის მიუღებელია, ის მისაღებია ბიძინა ივანიშვილისთვის.

შს მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავარი მეოცნების თვალში იმხელა ნდობა მოიპოვა, რომ მას მთელი ძალოვნების კონტროლი დაევალა. გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სწორედ გიორგი გახარიას კადრებით დაკომპლექტდება.

ინფორმაცია სუსის ამჟამინდელი უფროსის, ვახტანგ გომელაურის, გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. მაშინ „ახალი თაობა“ „ოცნებასთან“ დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ გომელაურს განცხადება გადადგომის შესახებ უკვე დაწერილი ჰქონდა და ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წავიდოდა.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური მოულოდნელი შედეგით დასრულდა და გომელაურის გადადგომა გადაიდო. ოპოზიციის მტკიცებით, გომელაურზე შურისძიება ივანიშვილმა სწორედ არჩევნების გამო გადაწყვიტა. ამ არჩევნების მოგება მთავარ მეოცნებეს ძალიან გაუჭირდა.

რამდენიმე თვის წინ გომელაურის შემცვლელად ალეკო ტაბატაძე სახელდებოდა. ტაბატაძე ამჟამად სუსის უფროსის მოადგილეა. იყო საუბარი გრიგოლ ლილუაშვილზეც, რომელიც ივანიშვილმა, ფაქტობრივად, მაყურებლად მიავლინა სუსში.

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გომელაურს ალექსანდრე ხოჯევანიშვილი შეცვლის. ეს უკანასკნელი სუსში ცოტა ხნის წინ გადაიყვანეს გომელაურის მოადგილედ. მანამდე მას შსს-ში გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა.

„ოცნებაში“ ხოჯევანიშვილზე ბევრი არაფერი იციან, იმის გარდა, რომ ის გახარიას კადრია. მმართველი პარტიის კულუარებში ამბობენ, რომ ივანიშვილი სუსის გაკონტროლებას გახარიას ხელით შეეცდება.

ამ გეგმის განხორციელება, სავარაუდოდ, რამდენიმე თვის წინ დაიწყო. სუსის თანამშრომლები და მათთან ახლოს მყოფი პირები შს მინისტრზე სხვადასხვა სახის ინფორმაციას ავრცელებდნენ.

გახარიას გაუვრცელეს ინფორმაცია, რომ ის სასულიერო პირებზე კომპრომატებს აგროვებდა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ჭორების გასაქარწყლებლად ჩამოუქროლა მან მეუფეებს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ და უმტკიცა, რომ ამ საქმეში უმწიკვლო იყო.

თავის უცოდველობაში მან ყველა მეუფე, ეტყობა, ვერ დაარწმუნა. ერთ-ერთი ასეთი დაურწმუნებელი მეუფე იაკობი უნდა იყოს, რომელიც

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კახა კუკავა: „საქართველოში სასამართლო და პროკურატურა ივანიშვილის ოჯახს ემორჩილება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, სასამართლოს და მოსამართლეების თემა სერიოზულ პრობლემად იქცა ქვეყნისთვის. პარლამენტში თქვენც ესწრებოდით იურიდიული კომიტეტის სხდომას, რა პროცესები მიმდინარეობს, რა ხდება?***

– ძალიან ბინძური პროცესი მიმდინარეობს. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 2012 წლიდან. ყველას კარგად მოეხსენება, სააკაშვილის დროს რა სისტემაც იყო სასამართლოსა და პროკურატურაში. ეს იყო ბოლომდე კონტროლირებადი სისტემა, რომელმაც უამრავი ადამიანი გაანადგურა. აი ეს სისტემა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ 2012-ში ხელისუფლება შეიცვალა. ხალხი როდესაც ელოდა, რომ დაიწყებოდა ამ სისტემის დემონტაჟი და რეფორმა, მოხდა სრულიად წარმოუდგენელი გარიგება. ამორალური თავისი არსით, ბერძნულ ტრაგედიას რომ შეეფერება ისეთი.

***– რომელ გარიგებას გულისხმობთ?***

– როდესაც ბიძინა ივანიშვილი შეხვდა ლევან მურუსიძეს, ყველას გვახსოვს ეს ვიდეო კადრები და შეუთანხმდა მას, რომ ეს სისტემა იქნებოდა თავიდან ბოლომდე შენარჩუნებული უცვლელად, ხელშეუხებლად, თუკი ეს სისტემა იქნებოდა ლოიალური ახალი ხელისუფლების მიმართ. ამ გარიგებას წინ უძღოდა ერთგვარი დაშანტაჟება, როდესაც სასამართლომ რამდენიმე ეპიზოდში გაამართლა ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები. კბილები სწორედ მაშინ გამოაჩინეს. სწორედ მაშინ შედგა ეს გარიგება. ივანიშვილს მიუგზავნეს შუამავლები და უთხრეს, რომ ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლებას მოვუწყოთ საბოტაჟი, მაგრამ თუ ახალი ხელისუფლება მოგვცემს ხელშეუხებლობის გარანტიებს, ჩვენ ბოლომდე ვიქნებით ლოიალურები ახალი ხელისუფლების მიმართ.

***– და მაშინ ეს შეთანხმება შედგა?***

– რა თქმა უნდა, ეს უბინძურესი გარიგება მაშინ შედგა ტელეკამერების წინ და რაც ახლა ხდება, უკვე არის ამ შეთანხმების ნაწილი. ხოლო რაც დღეს ხდება, ეს არის უკვე ამ შეთანხმების ნაწილი. დღეს მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი ითხოვს, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ შეფერხება არ იქნებოდაო და ამიტომ ის ითხოვს თავისი კანდიდატურების დამტკიცებას. რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილმაც დაინახა გასული 6 წლის მანძილზე, რომ ეს სისტემა მისთვის არის ძალიან ხელსაყრელი. სწორედ ამ სისტემის წყალობით მოახერხა, რომ ბევრ საქმეზე მისთვის სასურველი შედეგი დამდგარიყო. დღეს კბილებით ებღაუჭება ამ სისტემას, რომელსაც ნაც-ქოცური სისტემა ჰქვია. შეიძლება ითქვას, რომ „ქართულ ოცნებას“ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას ამ ყველაფერზე.



**ჩვენ ივანიშვილი გავიცანით მაშინ, როდესაც დაიწყო სამების ეკლესიის მშენებლობა, როდესაც სრულიად უსამართლოდ მას უწოდეს მეცენატი. ეს ადამიანი არის ელცინის პერიოდის ჩვეულებრივი ოლიგარქი, თავისი კრიმინალ-მაფიოზური სტრუქტურებით და, როგორც იქ ჰყავდა მოსამართლე და გუბერნატორი მოსყიდული და ამ გზით შოულობდა ფულს, ისეა აქაც. მან მხოლოდ ეს მეთოდი იცის.**

***– რატომ წავიდა ივანიშვილი ამ კლანთან გარიგებაზე, რისი შეეშინდა?***

– არაფრისაც არ შეეშინდა. ჩვენ ვიცნობთ ამ ადამიანის ერთ მხარეს, ჩვენ ივანიშვილი გავიცანით მაშინ, როდესაც დაიწყო სამების ეკლესიის მშენებლობა, როდესაც სრულიად უსამართლოდ მას უწოდეს მეცენატი. ეს ადამიანი არის ელცინის პერიოდის ჩვეულებრივი ოლიგარქი, თავისი კრიმინალ-მაფიოზური სტრუქტურებით და როგორც იქ ჰყავდა მოსამართლე და გუბერნატორი მოსყიდული და ამ გზით შოულობდა ფულს, ისეა აქაც. მან მხოლოდ ეს მეთოდი იცის.

***– რისი თქმა გინდათ, ანუ ივანიშვილის მეცენატობა მითია?***

– დიახ! ეკლესიას კანონიერი ქურდებიც აშენებენ და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილი მეცენატია. ამიტომ მან არ იცის ქვეყნის სხვაგვარი მართვა. მას წარმოდგენაც კი არ აქვს იმაზე, რაც არის ევროპული სასამართლოს ფუნქცია, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლებისაგან, რომ ხშირად სასამართლომ შესაძლოა მთავრობის წინააღმდეგ გამოიტანოს გადაწყვეტილებები. ეს მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია. მისთვის გასაგებია მხოლოდ ის, რომ მოსამართლე და პროკურორი უნდა ეჯდეს ბოსს ჯიბეში. აი ეს სისტემა აამოქმედა საქართველოში და სასამართლო და პროკურატურა მთლიანად ემორჩილება ივანიშვილის ოჯახს.

***– მოსამართლეთა ამ სიამ დააპირისპირა მმართველი გუნდი ერთმანეთთან, ვხედავთ, რა პროცესი მიმდინარეობს შიგნით, ეს არ შეცვლის პროცესს? თუ იქნება ისე, როგორც ივანიშვილს უნდა?***

– ეს სია გავა არ გავა, ეს პრინციპში არ არის გადაწყვეტილი. თუმცა ამ სიას დაამტკიცებენ თუ არ დაამტკიცებენ, ის რეჟიმი, რაც საქართველოში მოქმედებს, ძირდამპალია. ჩინჩალაძე რომც არ დაამტკიცონ, ეს არ იქნება ამ სისტემის რეფორმა, ეს სისტემა მაინც დამპალი დარჩება. ამ სისტემის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება სიღრმისეული რეფორმები. რაც ყველას კარგად გვესმის, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ვერ გატარდება. აქედან გამომდინარე მაგასაც აქვს თავისი პოზიტივი, თუ ივანიშვილი ჩინჩალაძის სიას დაამტკიცებს. ბოლომდე დაგროვდება ხალხში პროტესტის მუხტი და ბოლომდე აიწევს დუღილის ტემპერატურა.

***– ანუ პროცესი დაჩქარდება?***

– დიახ, პროცესი დაჩქარდება. პროცესი უკვე გადასულია დასკვნით ფაზაში. ჩვენ ნანახი გვაქვს, რაც დაემართა წინა ხელისუფლებებს მმართველობის ბოლო წლებში. ანუ, რაც მეტ შეცდომებს დაუშვებს ივანიშვილი, არის კარგი. როცა მათიკაშვილი გაიყვანეს კომიტეტის ხელმძღვანელად, დავრწმუნდი, რომ ივანიშვილთან დიალოგი გამორიცხულია. ძალიან ბევრჯერ მოვუწოდეთ, ბევრი მცდელობა გვქონდა, მაგრამ კარი დაკეტილია. ლამის ქვეყანა დაინგრა ამ მურუსიძე-ჩინჩალაძის გამო, ეკა ბესელია გადადგა, უმრავლესობა სადაცაა დაიშლება, ყველა მკვეთრ პოზიციას გამოხატავს და ამის მიუხედავად, ამ ადამიანს ესმის მარტო ხახვის და კარტოფილის ძალა.

***– საით მიანიშნებთ?***

– ხახვს და კარტოფილს დავარიგებ და ყველაფერი მოგვარდებაო. ადგა და მაინც მათიკაშვილი გაიყვანა კომიტეტის ხელმძღვანელად. მათიკაშვილის გაყვანა ხომ არის პირდაპირი მესიჯი, რომ ივანიშვილი ვერ ხვდება იმ ძალიან მძიმე შეცდომას, რომელიც დაუშვა სასამართლო სისტემასთან მიმართებაში. მას ჰგონია, რომ კიდევ გამოუვა, მაგრამ ასე არ არის. გუშინ პარლამენტში ბევრი ჩემი მეგობარი შემხვდა. ჩვენ უმრავლესობის იმ ნაწილს ვხედავთ, რომელიც ტელევიზიით გამოთქვამს პოზიციას, მაგრამ იქ არის ხალხი, რომლებიც არ გამოთქვამენ ტელევიზიით თავიანთ პოზიციას, ერიდებიან ამ ეტაპზე, მაგრამ ისინი ამბობენ, თუ ივანიშვილი ამ სიას დაამტკიცებს, ჩვენ წავალთ ბიძინას წინააღმდეგ. ამ სიის დამტკიცება ძალიან ბევრი ადამიანისთვის იქნება მოტივი, რომ ისინი ივანიშვილს საფლავში არ ჩაყვებიან.

***– ანუ არის უმრავლესობაში ეს პოზიცია?***

– რა თქმა უნდა, არის და ძალიან ბევრი არიან, ერთი და ორი კი არა, მე რამდენიმე ათეულ ადამიანზე ვლაპარაკობ.

***– როგორ ფიქრობთ, ეკა ბესელია ოპოზიციაში წავა?***

– არ ვიცი რას იზამს ეკა ბესელია. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციები არა მაქვს. მნიშვნელოვანი არ არის, ეკა სად წავა, მნიშვნელოვანია „ოცნება“ დაიშალოს. როგორც რომაელები ამბობდნენ, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს, ჩვენც უნდა ვთქვათ, რომ „ოცნება“ უნდა დაინგრეს. ეს არის მანკიერი სისტემა, კორუმპირებული, მაფიოზური სისტემა, რომელიც უნდა დაინგრეს და უნდა გასამართლდეს ყველა.

***– შეიძლება ითქვას, რომ დასასრულისკენ მიდის ივანიშვილის მმართველობა?***

– დიახ, დასასრულისკენ მიდის, მას რატომღაც ჰგონია, რომ ხალხი ერთსა და იმავე შეცდომას ისევ აპატიებს. არ აპატიებს.

# „ბესელია კრამიტების გადამტვრევით იმუქრებოდა“

## სოსო ცინცაძე: „ჩვენთან კულისებს მიღმა, გარიგებების პოლიტიკაა და ის ხდება ახლა“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარისგან ელოდნენ, რომ ის შიდაპარტიულ ამბებზე ხმაურიან განცხადებებს გააკეთებდა. ეს ჩანდა მის წინასწარ განცხადებებში, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა. რითი შეიძლება აიხსნას ეს და არის თუ არა ეს ის, რომ „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს? – ამის შესახებ „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა:**

***–ეკა ბესელია და მისი თანამებრძოლები ამბობენ, რომ იტყვიან შიდა სამზარეულოს დეტალებს, მაგრამ რეალურად ბევრს არაფერს ამბობენ, რას ნიშნავს ეს? ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გუნდში ერთგვარი პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს?***

– არა. ელემენტარულად ეს არის ჩვეულებრივი კლასიკური მოვლენა არადემოკრატიულ სისტემაში ან ახალგაზრდა დემოკრატიების ქვეყნებში. წარმოგიდგენიათ, რომ ინგლისის მმართველ პარტიაში რაც ხდება, არ იცოდეს საზოგადოებამ?! ეს იცის მთელმა საზოგადოებამ და არა მარტო მხოლოდ ინგლისმა, არამედ მსოფლიომ, იმიტომ, რომ იქ შემდგარი დემოკრატიაა. ჩვენთან არ არის შემდგარი დემოკრატია. ჩვენთან არის ტრადიციული, კულისებს მიღმა გარიგებების პოლიტიკა. „რაც ოჯახში ხდება, ის გარეთ არ უნდა გაიტანო“, ამ ტიპის პოლიტიკაა ჩვენთან.

***– ანუ გამოდის, რომ საჯარო პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გვაქვს?***

– რასაკვირველია. წარმოიდგენდით, ტერეზა მეის პარტიის წარმომადგენელს რომ ეთქვა, რაც ჩვენთან ხდება პარტიაში, არ მიმაჩნია სწორად, დღეს გავასაჯაროოთ. ბესელია ჩამოვიდა, იქადნებოდა ინგლისიდან და საფრანგეთიდან, იმას ვიზამ და ამას ვიზამო. სულ კრამიტების დამტვრევით იქადნებოდა. მაგრამ ჩამოვიდა და თქვა, რაც აქ ხდება ფარული მოლაპარაკებები, ამის გასაჯაროება სწორად არ მიმაჩნიაო. არ ვიცი, მას ავიწყდება თუ დაშვებული თამაშის წესებით თამაშობს? არ ვიცი, რა არის ეს. ის არის საჯარო მოხელე, ხალხის მიერ არჩეულია. ჩვენ იმიტომ ავირჩიეთ ეს პარლამენტარები, როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიცია, რომ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, რაც იქ ხდება.

ეს ჯერ კიდევ საფრანგეთში რევოლუციის დროს სხვანაირად იყო. როდესაც მარატმა დააარსა თავისი გაზეთი „ხალხის მეგობარი“, ის პირდაპირ ეჩხუბებოდა რობესპიერებსა და ყველა ლიდერს ფრაქციებიდან, ხალხმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც აქ ხდებაო. მართლაც ასე იყო. ჩვენ იმ დონემდე არ ვართ. კობახიძე ელოდება, რამდენად თავშეკავებული იქნება ბესელია საბოლოო გადაწყვეტილების დროს. მისი გარიცხვა-არგარიცხვის საკითხი ამაზეა დამოკიდებული. ბესელია კი ელოდება, რამდენად თავშეკავებული იქნებიან კობახიძის სახით ის პირები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ამ დროს კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება რაღაცები.

როდესაც ბესელია ამბობს, მე აგვისტოში შემომთავაზეს ვიცესპიკერობა და კობახიძეც ამბობს, აგვისტოში გადავწყვიტეთ, ის გადაგვეყენებინა და ვიცესპიკერად აგვერჩიაო, რა იყო მიზეზი? რატომ? მთავარი ის კი არ არის, ბესელია სად იქნება და სად არა, მთავარი ჩვენთვის ის არის, რატომ, ან იმავე ბესელიამ რატომ თქვა უარი ფორმალურ დაწინაურებაზე. იქ მან ცხელი სვლა გააკეთა, რომ აი მე სპიკერის კაბინეტში კი არ წავალ დავჯდები, არამედ ბევრ რამეს ვიტყვიო. ეს ძალიან ჰგავს შანტაჟს. თავის დროზე ამით ადგილი შეინარჩუნა თეა წულუკიანმა, როდესაც დაიმუქრა, როცა აღარ გჭირდებით, მიშვებთო? გამოვალ და ბევრ რამეს ვიტყვიო. ეს ნიშნავს, რომ ეს უკვე თამაშის მიღებული წესებია. ბესელიასაც მიანიშნებენ, რომ თუ ის ჩუმად იქნება, დარჩება მმართველ პარტიაში. შესაძლოა, პატარა შანსი ჰქონდეს მას, მაგრამ, ჩემი აზრით, უკვე გადაწყვეტილია, 2020 წელს იქნება თუ არა სიაში.

***– რა არის ეს გადაწყვეტილება?***

– ჩემი აზრით, გადაწყვეტილებაა, რომ ის აღარ იქნება სიაში. ახლა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს მათიკაშვილი, მაგრამ არაოფიციალურად ყველა ამბობს, რომ იქნება ოხანაშვილი. მაშინ მათიკაშვილი რატომ არის ამ პერიოდში? იმიტომ ხომ არა, რომ მათიკაშვილმა აიღოს ამ



ფერნაცვალი სიების დამტკიცება? შესაძლოა, ოხანაშვილს ეს არ უნდა და უნდა, რომ სუფთა ხელებით გახდეს თავმჯდომარე, მას ვერაფერი წამოაძახონ და თქვას, მე რომ თავმჯდომარე გავხდი, ამ სიებზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყოო, მაგრამ საეჭვო ღირებულებისა და სასკანდალო პროცედურა მათიკაშვილს ჩააბარეს. გუნდის აზრით, მათიკაშვილი უფრო მოხერხებული იქნება ამ სიებთან დაკავშირებით, ასევე პრინციპულიც, იმ თვალსაზრისით, რაც პარტიის ხელმძღვანელობას აწყობს.

***– აღნიშნეთ, რომ ბესელია ლონდონიდან და პარიზიდან „კრამიტების გადამტვრევით“ იმუქრებოდა, თუმცა არაფერი თქვა. ეს იმის გამოც ხომ არ***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ზურაბ ჯაფარიძე: „ჩვენს სკოლებში ბავშვები სიხარულით ივლიან“

**პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ 2019 წელს საზოგადოებას სიახლეებს ჰპირდება. მისი სამომავლო გეგმები არაავტორიზებული სკოლებისა და სასამართლო პროექტის შექმნას უკავშირდება, რომლის შესახებაც „გირჩის“ ლიდერი ზურა ჯაფარიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.**

პირველი პროექტი სტანდარტული სკოლებისგან განსხვავებული არაავტორიზებული სკოლების შექმნას გულისხმობს.

***– როდიდან გაჩნდა ასეთი სკოლების შექმნის იდეა?***

– ეს იდეა არსებობდა ვახო მეგრელიშვილის თავში, რომელსაც მანამდე ამ ქვეყანაში გაკეთებული აქვს სამი სხვა ძალიან წარმატებული საგანმანათლებლო ინსტიტუცია. გვინდა, ამ ქვეყანაში ადამიანებმა დავიწყოთ სწორი წესებით ცხოვრება. ამას სჭირდება მუშაობა მომავალ თაობასთან, ბავშვებთან, რომლებმაც უნდა შექმნან თავისუფალი ადამიანების საზოგადოება, რომელიც ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის და ჩვენ ჯერ კიდევ ვართ საბჭოთა საზოგადოება.

***– უფრო კონკრეტულად, რა არის ამ სკოლის შექმნის მიზანი?***

– ჩვენ გვაქვს ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა, რომელსაც აკონტროლებს განათლების სამინისტრო და რომელიც არაფრით განსხვავდება საბჭოთა განათლების სისტემისგან, რომელიც არის უკიდურესად მოძველებული.

ჩვენ გვინდა შევქმნათ ამის ალტერნატივა, თავისუფალი სკოლა, რომელიც თავისუფალი იქნება არსებული რეგულაციებისგან და რომელიც დღეს საქართველოში არსებული განათლების სისტემის სისტემის მიღმა იქნება. რამდენიმე წელიწადში შეიქმნება ალტერნატიული სისტემა ჩვენი სკოლების ქსელში.

***– რა საგნებს და რა პროგრამით ისწავლიან?***

– ამ სკოლაში ბევრი სხვადასხვა კონცეფციის ნაზავი იქნება წარმოდგენილი. ცხადია, იქნება განათლების აკადემიური ნაწილი – მათემატიკა, ისტორია, ლიტერატურა, თუმცა, ამის გარდა, იქნება სხვა ტიპის საგანმანათლებლო კურსებიც, რომლებიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა უნარების განვითარებაზე.

***– რითი იქნება განსხვავებული ჩვეულებრივი სკოლებისგან?***

– მაგალითად, არ იქნება არდადეგები და მშობელს ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს, როცა ენდომება, წაიყვანოს შვილი დასასვენებლად და, როცა ენდომება, დააბრუნოს, ხოლო როდესაც დაბრუნდება, ბავშვი სწავლას სკოლაში გააგრძელებს იმ ადგილიდან, სადაც გაჩერდა. სწავლის დრო არ იქნება დაგეგმილი დილის 9 საათიდან საღამოს 6-მდე, მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა, ბავშვები მოიყვანონ, როცა ენდომებათ და ფასი გადაიხადონ კონკრეტული საათების მიხედვით.

ვიღაცას თუ აწყობს, რომ მოიყვანოს დილის 8 საათიდან 12 საათამდე, მოიყვანს ბავშვს ამ დროს, ვიღაცას თუ აწყობს შუადღის 3 საათიდან 6 საათამდე, მაგ დროს მოიყვანს. პირველ რიგში, მორგებული იქნება ბავშვებისა და მშობლების საჭიროებებზე. იქნება პრინციპული განსხვავება არსებული სკოლებისგან, ორიენტირებული იქნება ინდივიდუალურად ბავშვზე და ბავშვებთან დამოკიდებულება იქნება ისეთი, როგორიც დამოუკიდებელი თავისუფალი ადამიანისადმი და არა ისეთი, როგორც არის განათლების სისტემაში, სადაც ბავშვს თავიდანვე ასწავლიან მორჩილებასა და მსგავს რაღაცებს. ატმოსფერო და გარემო იქნება მთავარი განმასხვავებელი სტანდარტულ სკოლებთან შედარებით.

მთავარი პროდუქტი, რომელსაც სკოლა გაყიდის, იქნება ის, რომ მშობელმაც და ბავშვმაც გაიაზროს, რა არის ის უნარები, რომლებიც ბავშვს ყველაზე კარგად შეუძლია განავითაროს და რა არის ის სფეროები, სადაც ბავშვს გააჩნია ინტერესები, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მას შეეძლოს, იპოვოს თავისი ადგილი, რისი კეთება სიამოვნებს, რისი კეთებით არის ბედნიერი და ა.შ. სამწუხაროდ, დღევანდელი სკოლა ამის საშუალებას არ აძლევს ბავშვებს და ისინი ისე ამთავრებენ სკოლას, რომ არც მშობელმა და არც ბავშვმა არ იცის, რისი კეთება შეიძლება აინტერესებდეს ცხოვრებაში ბავშვს.

***– როგორ აპირებთ, თითოეულ ბავშვს დაეხმაროთ თავისი ინტერესების მოძიებაში, რაიმე წრეებიც იქნება სკოლაში?***

– პროგრამა თავიდან ბოლომდე იქნება ბავშვების ინტერესებზე მორგებული. ბევრი სხვადასხვა მიმართულება იქნება, კონკრეტული წრეებიც. ახლა წინასწარ არ გვაქვს მომზადებული. ბავშვები თვითონ დაგეგმავენ თავიანთი დროისა და ინტერესების შესაბამისად ამ წრეებსაც და პროგრამებსაც.

ეს იქნება სკოლა, სადაც დილით ბავშვები გაიღვიძებენ და სკოლაში სიხარულით წავლენ, განსხვავებით სხვა სკოლებისგან. მშობლებს დილით არ ექნებათ იმის პრობლემა, რომ ბავშვს არ უნდოდეს სკოლაში წასვლა და გაღვიძება. ეს იქნება სკოლა, სადაც ბავშვები იქნებიან ბედნიერები და სიხარულით ივლიან.

***– ამ სკოლაში ასაკობრივი შეზღუდვა არ იქნება. რას გულისხმობს ეს?***

– პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ დღეს სკოლებში ასაკობრივი შეზღუდვა არსებობს. მაგალითად, 5 წლის ბავშვს სკოლაში ვერ შეიყვან, აკრძალულია სახელმწიფოსგან. მე მყავს



5 წლის ბავშვი, რომელიც მინდა, რომ წელს შევიყვანო სკოლაში და ვერ შემყავს, იმიტომ რომ დაბადებულია 30 ოქტომბერს და სწავლა უკვე დაწყებული იქნება სექტემბერში, სანამ ის 6 წლის გახდება, შესაბამისად, ვერ შემყავს. ჩვენს სკოლაში კი ასეთი შეზღუდვა არ იქნება. 5 წლის ბავშვის შემოყვანაც შესაძლებელი იქნება, 4 წლის ბავშვისაც და 3 წლის ბავშვისაც.

***– როდიდან იგეგმება ამ სკოლების გახსნა, ახლა რა ეტაპზე ხართ და სულ რამდენი სკოლის გახსნას გეგმავთ?***

– საქართველოს მასშტაბით ალბათ რამდენიმე ათეული იქნება, მაგრამ ეს არის რამდენიმე წლის პერსპექტივა. ახლა რასაც ვიწყებთ, ეს არის პირველი სკოლა თბილისში, შემდეგი რამდენიმე სკოლაც, სავარაუდოდ, თბილისის რამდენიმე უბანში იქნება. შემდეგ უკვე ვაპირებთ, რომ რეგიონებშიც გავიდეთ.

ამწუთას გვყავს ერთი ბიზნეს-პარტნიორი ინვესტორი, რომელიც აპირებს თანხის ჩადებას ამ პროექტში. ვართ ფართის მოძიების სტადიაზე და შერჩეული გვაქვს ერთი ვერსია, რომელსაც ვსწავლობთ, რამდენად გამოგვადგება. როგორც კი ფართზე ჩამოვყალიბდებით, რომ ამ ლოკაციაზე ვაკეთებთ, შემდეგ უკვე დავიწყებთ მასწავლებლების შერჩევას, ასევე – გასაუბრებებს მშობლებთან და ბავშვებთან.

***– ამ წელს სხვა საინტერესო პროექტებსაც შესთავაზებს „გირჩი“ საზოგადოებას. შეგიძლიათ, გაგვიმხილოთ?***

– კი, რა თქმა უნდა, მეორე პროექტი, რომელზეც ასევე დაწყებულია მუშაობა, არის „გირჩის“ სასამართლოს პროექტი. ეს იქნება ალტერნატიული სასამართლო მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლოსი.

ეს სასამართლო იქნება კერძო ტიპის დავებისთვის, სამოქალაქო დავების თვალსაზრისით რაც შეიძლება განვიხილოთ. ასეთი ტიპის სასამართლოს მოწყობას ვაპირებთ, რომელიც იქნება არბიტრაჟის პრინციპზე დაფუძნებული და იქნება ალტერნატიული სასამართლო არსებული სასამართლო სისტემისა, რომელსაც არანაირი ნდობა არ გააჩნია, სადაც საქმეები ირჩევა წლების განმავლობაში და ადამიანები სამართალს ვერ პოულობენ.

ეს სასამართლო იქნება გამჭვირვალე, რომელიც არ დაემალება საზოგადოებას, როგორც დღევანდელი მოსამართლეები ემალებიან და იქნება განჭვრეტადი იმ თვალსაზრისით, რომ დღევანდელ სასამართლოში, კაცმა არ იცის, მოსამართლე რა პრინციპებით ხელმძღვანელობს და რა მოახდენს გავლენას მის გადაწყვეტილებაზე.

ჩვენს სასამართლოში კი ეს განჭვრეტადი იქნება, იმიტომ, რომ გასაგებია, ჩვენ რა პრინციპებითაც ვხელმძღვანელობთ და ნებისმიერ ადამიანს შეეძლება განსაზღვროს, როგორ გავარჩევთ მტყუან-მართალს.

ლელა მდივანი

# სუსს ივანიშვილის დავალებით გახარია გააკონტროლებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ღიად დაუპირისპირდა გახარიას და განაცხადა, მის გაპრემიერებას არ დავუშვებო.

თავის სკანდალურ განცხადებაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა თქვა, რომ გახარიამ რაღაც ისეთი გააკეთა. არსებობს ვარაუდი, რომ პატრიარქის ქორეპისკოპოსი გახარიას მიერ სასულიერო პირებზე კომპრომატების მოგროვების გამო იყო განრისხებული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შს მინისტრი არც სამებაში გამოჩენილა საშობაო წირვაზე. არადა, მთელი მთავრობა იქ იდგა მწყაზარი სახეებით.

სასულიერო პირების გარდა, შს მინისტრის მიმართ „ოცნებაშიც“ არის უკმაყოფილება. მმართველ პარტიაში იციან, რომ ეს კაცი, შესაძლოა, პრემიერი გახდეს, მისი გაპრემიერება კი ბევრს არ აწყობს.

მას მთავრობის სათავეში ჩადგომის შანსი გასული წლის ზაფხულშიც ჰქონდა, მაგრამ მეოცნებეების ნაწილმა ეს საქმე ჩაშალა.

გუნდში არსებული მძიმე ვითარების გამო ივანიშვილმა გახარია, შესაძლოა, პრემიერად აღარ წამოაყენოს, მაგრამ მას ბევრად მეტ უფლებას მისცემს. გახარია, შსს-ს გარდა, აქამდე პროკურატურასაც აკონტროლებდა, ამიერიდან კი სუსსაც გააკონტროლებს.

გავრცელებული ინფორმაციით, სუსში, შესაძლოა, მისი მოადგილე კახა საბანაძეც გადავიდეს.

სუსში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს არც მმართველი პარტია გამორიცხავს. ამასთან, „ოცნება“ ოპოზიციას ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებს.

გომელაურის სავარაუდო შემცვლელის, ხოჯევანიშვილის, თაობაზე ბევრი არაფერი იციან. შსს-ს გენინსპექციის ყოფილი უფროსის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ ლევან კობერიძეს.

– ნაკლებად ვიცნობ პიროვნულად იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ სისტემაში. მე, როგორც პარლამენტის დეპუტატი, ვადევნებ თვალს იმ შედეგებს და იმ შედეგებით ვაფასებ, რაც იქნება წლიურ ანგარიშში მოყვანილი თუ სხვა. მოსმენა, შეხვედრები მინისტრთან თუ სხვა. ოპოზიციას მოვუწოდებ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის შეფასება ხდებოდეს იმ შედეგით, თუ რა პასუხისმგებლობა აქვთ მათ ქვეყნის წინაშე. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს შედეგები არის მოლოდინზე გაცილებით უფრო კარგი. ამიტომ, დანარჩენი ინტრიგის თემები, რომელთა შემოტანა მათ სურთ მედიის წესრიგში, უადგილოა, – განაცხადა ჟურნალისტებთან ლევან კობერიძემ.

„ოცნების“ კიდევ ერთი ლიდერი, დიმიტრი ხუნდაძე, ვერაფერ უცნაურს ვერ ხედავს იმაში, რომ ხოჯევანიშვილი შსს-დან სუსში გადავიდა. მისი თქმით, ასეთი ცვლილებები მოსალოდნელიც იყო.

– ძალოვან სტრუქტურებში როტაცია, საკადრო ცვლილებები არის მიღებული, ეს არის არჩევნებამდე, ეს ხდება არჩევნების მერეც. ასე რომ, აქ არჩევნები არაფერ შუაშია. თუ არჩევნების შემდეგ ცვლილებები იქნება, ეს აუცილებლად უნდა იყოს, იმიტომ, რომ ეს ჩვენი დაპირებაც იყო, პირველ რიგში, უნდა იყოს აქტივში ეს ცვლილებები.

უფრო მეტად უნდა დავაფასოთ ის აქტივისტები, ის წევრები, რომლებიც არიან პარტიის ერთგულები, რომლებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში. ასევე სამსახურებში, ამასთან ერთად, უნდა იყოს მაღალი კომპეტენცია. ცვლილება არ უნდა გვიკვირდეს.

დეპუტატ დიმიტრი ცქიტიშვილისთვის სუსში მოსალოდნელი ცვლილებები მოულოდნელი არ იქნება. ამასთან, ის არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ამ უწყებაზე გახარიას გავლენა ძლიერდება, ამბობს, რომ შს მინისტრიცა და გომელაურიც ერთ გუნდს წარმოადგენენ და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გააკონტროლებს სუსს.

– მე კონკრეტული დეტალები არ ვიცი, რადგან ეს არ არის პარლამენტს მიბმული უწყება. მას არ აქვს ვალდებულება, შიგნით მიმდინარე პროცესებზე ყოველდღიურ რეჟიმში ჩაგვაყენოს საქმის კურსში.

ჩვეულებრივი პროცესია, მოხდეს რეორგანიზაცია, როტაციები, საკადრო ცვლილებები. მე არ ვიცი, რა პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, არა მგონია, რომ ეს რაიმე სახის სპეკულაციის საშუალებას იძლეოდეს...

ვინ ვისთან არის მიბმული, არასერიოზულია. ერთი პოლიტიკური გუნდი ვართ გახარიაც, გომელაურიც, ცქიტიშვილიც და ყველა, – ამბობს „ოცნების“ დეპუტატი.

# „ბესელია კრამიტების გადამტვრევით იმუქრებოდა და თქვა, ფარული მოლაპარაკებების გასაჯაროება სწორად არ მიმაჩნიაო“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***არის, რომ შესაძლოა კომპრომატები ჰქონდეთ მის წინააღმდეგ ან იმიტომ, რომ უკანდასახევ გზას იტოვებს?***

– ეს ისეთი მძიმე ბრალდებაა, ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, გადაწყვეტით რაღაც ვთქვა, მაგრამ ეჭვები არსებობს. საქართველოში ყველაფერი ეჭვის ქვეშ დგას. ეჭვი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ბრალდება ძალიან მძიმეა. როგორც გავეცანი ინფორმაციას, ერთ-ერთმა ექსპერტმა გააჟღერა, მას კორუფციას თუ რაღაცას ედავებიანო, მაგრამ ცოტა ნაჩქარევია.

თუ მან ეს თქვა, არ ვიცი. სწორედ ეს აძლევს საბაბს იმავე პრეზიდენტს, იმავე პარტიის ხელმძღვანელობას, რომ იმ დრაკონულ კანონებზე დაიწყონ ლაპარაკი, რასაც ჰქვია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. ასეთი ბრალდება, რომ ეს კორუფციაშია მხილებული და ამიტომ მოხდა ეს, მეტ პოლიტიკურ ტაქტს ითხოვს. ამას საბაბად იყენებენ.

მეორე მხრივ, ეს სიახლე არ არის. ჯერ კიდევ 41 საუკუნის წინ ძველ რომშიც იყო ასეთი კანონმდებლობა. პირველი, ვინც ეს კანონმდებლობა შემოიღო შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა დღევანდელი გაგებით, კალიგულა იყო, მერე მოდიოდა უფრო ნორმალური იმპერატორი და აუქმებდა ამ კანონს. მერე მოდიოდა ნერონი და ისევ შემოჰქონდა. ძველ რომში 6-ჯერ შემოიღეს ეს კანონი და გააუქმეს. ეს სიახლე არ არის. ძალიან რთულია, არც მწვადი დაწვა და არც შამფური. როდესაც ამბობენ, რომ კანონს ცილისწამებაზე შემოიღებენ, მაგრამ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ოდნავადაც არ შევზღუდავთო, ეს შეუძლებელია. ამას სოლომონ ბრძენიც ვერ მიაღწევდა.

აქ მთავარი ის არის, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე. იგივე, ვთქვათ, ვინც ეს გაახმოვანა, ბესელიას კორუფციისთვის ემუქრებიანო, ეს არის მთავარი თუ ის, რომ კანონით აიკრძალოს და ამის ინტერპრეტაცია როგორი იქნება. ეს ექვემდებარება სისხლის სამართლის დანაშაულს თუ არ ექვემდებარება. ეჭვის გამოთქმა, კითხვის დასმა, ექვემდებარება თუ არა. მე რომ ვიღაც საჯარო მოხელეზე ვთქვა, რომ ეს ადამიანი კორუფციონერს ჰგავს, ეს რა არის? იქნება სისხლის სამართლის დანაშაული თუ არა. როდესაც ასეთი სასამართლო და ასეთი მოსამართლეები გვყავს, რასაკვირველია, ინტერპრეტაციის მრავალფეროვანი სიუჟეტი შეიძლება მივიღოთ.

***– შესაძლო კომპრომატებზე რომ დავსვი კითხვა, მხოლოდ კორუფციას არ ვგულისხმობ, შესაძლოა, სხვა ტიპის კომპრომატი იყოს ან თანამშრომლობაზე წასვლა, რომ შეეთავაზებინათ რაღაცები. პოლიტიკაში ხომ ხდება ასეთი რაღაცები?***

– კი, ძალიან ბევრი რამე ხდება პოლიტიკაში. იმავე აშშ-ში ყველაფრის თქმა შეიძლება. პრეზიდენტს შეგიძლია, ის უწოდო, რაც გინდა. მაგალითად, როდესაც კენედი მოკლეს, დალასში ჩასვლის წინ ქალაქში გამოკრული იყო პლაკატები, რომ ამ დღეს ჩვენთან ჩამოდის სისხლის სამართლის დამნაშავე. ხომ შეეძლო კენედის, თავისი ძმისთვის, რომელიც გენერალური პროკურორი იყო, დაევალებინა, მოძებნე, ვინ გააკეთა ასეთი რაღაცო. კენედის ამის გაკეთება აზრადაც არ მოსვლია. ჩავიდა და მოკლეს კიდეც. ასეთმა პლაკატებმა ასეთი განწყობა შექმნა ან უკვე იყო ასეთი შეთქმულება.

ევროპაში სხვანაირად არის, აშშ-ში – სხვანაირად. ჩვენ როგორი ავიღოთ, ეს არის მთავარი. ცუდია, რომ პატრიარქის მთელი კონტექსტიდან ამოგლეჯილ წინადადებასაც კი იშველიებენ. პატრიარქი ზოგადად საუბრობდა, რომ ბოროტების ენა არ უნდა იყოს, შურისძიების ენა არ უნდა იყოს... როცა მმართველი პარტია წინა ხელისუფლებას მთლიანად ყაჩაღებსა და მკვლელებს უწოდებს. არა ცალკეულ პერსონებს, არამედ მთლიანად, ეს ექვემდებარება თუ არა იმ კანონს და ჩაითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად?! დარწმუნებული ვარ, რომ არ ჩაითვლება. ე.ი. მათ პარტიასა და მათ მომხრეებზე შეიძლება, მაგრამ პარლამენტის წევრზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის შეიძლება იყოს კორუფციონერი. ინტერპრეტაციას ვინ მისცემს? ამის გარკვევა ძალიან რთულია. ჩვენს საზოგადოებაში ეს ტოქსიკური თემაა.

# მეჭიაურმა კანონი დაარღვია: საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს რეგისტრაციის ადგილი შეუცვალა

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი ფაქტმა" თიანეთის მერ თამაზ მეჭიაურის მიერ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უკანონოდ დარეგისტრირების ფაქტი გამოააშკარავა.

როგორც „აი ფაქტი" ირწმუნება, მეჭიაურმა თანამშრომლების დახმარებით იუსტიციის სამინისტრო მოატყუა. კერძოდ, მან 16 წლის წინ სახელმწიფოსგან მიღებული მიწის ნაცვლად, რომელიც მისი სახლისგან მოშორებით მდებარეობს, სახლის სიახლოვეს არსებული მიწის ნაკვეთი დაირეგისტრირა, რითაც სისხლის სამართლის კოდექსი დაარღვია, რომელიც ჯარიმას ან 2-4 წლით პატიმრობას ითვალისწინებს.

საქართველოში ადამიანები მიწის ადგილის შეცვლას საბუთების გაყალბებით მარტივად ახერხებენ, თუ საჯარო რეესტრის ციფრულ ბაზაში ამ ნაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს და ადგილობრივი მთავრობა კანონის დარღვევაზე უარს არ ამბობს. მეჭიაურმა მერად არჩევიდან 5 თვის შემდეგ გადაწყვიტა, თავისი კუთვნილი 4,720 კვ.მ. მიწა სახლთან ახლოს დაერეგისტრირებინა. მეჭიაურის პირველი მიმართვის საპასუხოდ 2018 წლის ივნისში საჯარო რეესტრმა განაცხადა, რომ საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტსა და აზომვით ნახაზზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ საქმე განსახილველად თიანეთის მერიას გადაუგზავნა. თიანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერიის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა თავადაც მოაწერა დოკუ-



მენტს ხელი და სხვა მოწმესაც მოაწერინა. ამ დოკუმენტით დადასტურდა, რომ მეჭიაურის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში აღნიშნული ნაკვეთები ერთმანეთს ემთხვეოდა. თუმცა, არც ერთი მოწმე ადგილზე არ მისულა და ნაკვეთი არ უნახავთ, – აღნიშნულია ჟურნალისტურ გამოძიებაში.

როგორც მოწმეებმა დარიკო ყირიმელაშვილმა და ჯუნა მოსახლიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადეს, მიწის ნაკვეთი არ უნახავთ ისე მოაწერეს ოქმზე ხელი. ჯუნა მოსახლიშვილის თქმით, მან გამზადებული დოკუმენტები და ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, თიანეთის გამგეობისგან მიიღო.

თამაზ მეჭიაურმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ 1992 წელს სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი და 2018 წელს დაკანონებული მიწის ფართობი იდენტური არ არის და მან ნაკვეთები სხვაგან, მისი სახლის მიმდებარედ დაიკანონა.

– ჩემი სახლის გვერდზე იყო მდინარე ივრის კალაპოტი. მას შემდეგ, რაც იორი მოაქციეს ჯებირებში, კალაპოტი დარჩა, რასაც იყენებდნენ სანაგვედ. მე სანაგვე ქვიშით დავაფარვინე, ავიყვანე მიწის დონეზე, მერე შემოვღობე. ამ ნაკვეთებს უკვე წლებია მე ვუვლი და, რომ მეთხოვა საჯარო რეესტრისთვის, ისედაც დამირეგისტრირებდნენ. მაგრამ მე არ ვქენი ეგრე და იმ 1992 წელს მოკუთვნებული მიწის ფართობზე ნაკლები დავირეგისტრირე სახლთან ახლოს. ისეთი სულელი გგონივართ, ათასი კაცი მყავს ჩასაფრებული და ოქროც რომ ეჩუქებინათ ჩემთვის, ამას ავიღებდი? ამ ჯაგებს კი არ ავიღებდი, აგერ სიონშია ოქროს ფასი და იმ მიწას ავიღებდი, – განაცხადა მეჭიაურმა. ჟურნალისტები თიანეთის სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსს თამარ ზარლუაშვილსაც ესაუბრა, რომელმაც მეჭიაურისგან განსხვავებით განაცხადა, რომ ნაკვეთები იდენტურია.

– ნაკვეთები იდენტურია, მას ჰქონდა დოკუმენტები რომ ფლობდა 0,75 ჰექტარს და ამის დაკანონების უფლება ჰქონდა. რა დოკუმენტებიც ჰქონდა ბატონ თამაზს, იმ დოკუმენტების საფუძველზე დგინდება იდენტობა. ყველა დოკუმენტი არსებობს, რომ ეს მიწა იდენტურია, – განმარტა მან.

ამასთან, მეჭიაური აცხადებს, რომ ოქმზე ხელმომწერმა პირებმა მიწის ნაკვეთი ნახეს. მან ისიც აღნიშნა, რომ ის ნაკვეთი, რომელიც მას რეალურად ეკუთვნოდა, მშვენიერ ადგილასაა.

– გუშინ მოვიკითხე ის ადგილი, რომელზეც მედავებიან, რომ თითქოს ცუდის ნაცვლად კარგი ავიღე, მშვენიერ ადგილას ყოფილა, დიდი სიამოვნებით გავცვლი უკან, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

*კომერსანტი*

# დასაქმებულთა უმრავლესობა საქართველოში დასაშვებზე ხანგრძლივად მუშაობს

ეკონომიკის 18 დარგიდან 14-ში დასაქმებულები ზეგანაკვეთურად მუშაობენ. ამის შესახებ ინფორმაცია პროფესიული კავშირების გაერთიანება ავრცელებს. მათივე ცნობით, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვა, შინამეურნეობებში დაქირავებით დასაქმება ის სექტორებია, სადაც დასაქმებულებს სამუშაო ადგილზე ყველაზე მეტი დროის გატარება უწევთ.

– 2018 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა პირველად გამოაქვეყნა დასაქმებულების მიერ ნამუშევარი საათების საშუალო მაჩვენებელი. სტატისტიკიდან ირკვევა, რომ თითქმის ყველა სექტორში, დასაქმებულებს კანონით გათვალისწინებულზე ხანგრძლივად უწევთ მუშაობა. შრომის კოდექსით სამუშაო კვირის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 40 საათით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (სპეციფიკურ სამუშაო ადგილებზე) ითვალისწინებს 48 საათამდე სამუშაო გრაფიკს.

საქართველოში დამსაქმებლები არ აქცევენ ყურადღებას შრომის კოდექსის ამ განაწესს და თითქმის ყველა სექტორში ნორმად აქვთ ქცეული 42-50 საათიანი სამუშაო კვირა. ამასთან, ეს არის გასაშუალოებული მაჩვენებელი, რაც ნიშნავს, რომ ცალკეული დასაქმებულებისთვის სამუშაო გრაფიკი ბევრად უფრო მძიმეა. შრომის კოდექსის მიხედვით, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები გაზრდილი განაკვეთით უნდა ანაზღაურდეს და ზეგანაკვეთურ სამუშაოს არ უნდა ჰქონდეს რეგულარული ხასიათი. სტატისტიკიდან კი ჩანს, რომ ზეგანაკვეთურ მუშაობას რეგულარული ხასიათი აქვს და დაქირავებით დასაქმებულთა უმრავლესობას დასაშვებზე ხანგრძლივად უწევს მუშაობა.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა მამაკაცებისთვის: მშენებლობაში – 50,9 საათი; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში – 52,3 საათი; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვა – 50,4 საათი.

ქალებისთვის – „შინამეურნეობი, როგორც დამქირავებელი" კატეგორიაში – 50,3 საათი. ეს უკანასკნელი ძირითადად არის არაფორმალური დასაქმება, ვინაიდან დამქირავებელი – შინამეურნეობა ანუ ოჯახია და არა ბიზნესი. შინამეურნეობებში მამა-



კაცების სამუშაო საათები 43,2-ია, ქალებისა – 50,3, ხოლო საშუალო 50,2. რაც ნიშნავს, რომ აქ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალია. ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ ძიძები, მომვლელები, რეპეტიტორები და ა.შ.

არაფორმალური დასაქმება გარდა გადაჭარბებული სამუშაო საათებისა, წარმოშობს შრომის კოდექსის მრავალ დარღვევას, რომელიც საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები არაფორმალური დასაქმების (რაც მთლიანი დასაქმების 53%-ს შეადგენს) ფორმალიზაციისკენ.

გარდა ამისა, სტატისტიკაში არის „არაიდენტიფიცირებული" კატეგორია, სადაც ქალების სამუშაო საათები კვირაში შეადგენს 96 საათს! ეს ნიშნავს, რომ შაბათ-კვირას დასვენების გარეშეც კი მათ დღეში 13 საათი მუშაობა უწევთ!

მსგავსი საგანგაშო სტატისტიკა უნდა იწვევდეს შრომის ინსპექციის დაინტერესებას, თუმცა, ასეთი მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი სწორედ შრომის ინსპექციის გაუქმებაა (2006 წელს). დღეს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი აღდგა, მისი მოქმედების არეალი მნიშვნელოვნადაა შეზღუდული და მხოლოდ შრომის უსაფრთხოების წესების კონტროლით შემოიფარგლება. ისეთი შრომითი უფლებები კი, როგორიცაა – სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურება, შვებულების უფლება, დეკრეტული შვებულება, არადისკრიმინაციული გარემო და სხვ. კონტროლს მიღმა რჩება. არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლები კი, სამწუხაროდ, ბოროტად სარგებლობენ კონტროლის არარსებობით, – აღნიშნულია პროფკავშირების ინფორმაციაში.

# ბიზნესის პოზიცია უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა სიაზე: „არ შეიძლება ამის დაშვება, რადგან სახელმწიფო ჩამოგვეშლება!"



უზენაესი სასამართლოს 10 მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ პროცესები როგორც მოსახლეობაში, ასევე პოლიტიკურ ასპარეზზეც ამ დრომდე ვნებათაღელვას იწვევს. „კომერსანტი" დაინტერესდა, რას ფიქრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს დაზარალებული ბიზნესმენები შერჩეულ მოსამართლეებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ძველი რეჟიმის სასამართლოსთან.

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ბიზნესმენის ბაკურ კილურაძის თქმით, შერჩეულ მოსამართლეთა სია იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლა არსებობს, არ უნდა დამტკიცდეს.

– ჩვენ შეიძლება მივიღოთ ისეთი ვითარება, როდესაც არანაირი აზრი არ ექნება სასამართლოში სიარულს. როგორ შეიძლება, სასამართლოში სამართლის საძიებლად მივიდე, როდესაც ვიცი, რომ მოსამართლე რომელიც მსჯის თვითონ დამნაშავეა. მოსამართლე ხომ უნდა იყოს ძალიან მაღალი ავტორიტეტი, ადამიანი, რომელსაც საზოგადოებაში განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა სამართლის ძებნას სასამართლოს მიღმა, დამოუკიდებლად დაიწყებს. ეს იქნება კატასტროფა, არ შეიძლება ამის დაშვება, რადგან სახელმწიფო ჩამოგვეშლება – სახელმწიფოს ერთადერთი და უმთავრესი ფუნქცია არის ის, რომ აღადგინოს სამართალი, – განმარტავს ბაკურ კილურაძე.

ბიზნესმენი კომერსანტს უყვება, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს დანაშაულს არა მარტო მოსამართლეები ჩადიოდნენ, არამედ მაღალი თანამდებობის პირებიც, სწორედ ამიტომ, მისი თქმით, საკითხი გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს:

– საკითხთან მიმართებით მე უფრო კატეგორიული მოთხოვნები გამაჩნია. არსებობს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ შემუშავებული პრინციპთა კრებული, რომელიც ითვალისწინებს დაუსჯელობასთან ბრძოლას. დაუსჯელობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა ჯგუფებს აქვთ კონკრეტული დანაშაული ჩადენილი და ამ დანაშაულის მიმართ არანაირი რეაგირება არ ხორციელდება. ეს საზოგადოებას მნიშვნელოვნად აზარალებს, რადგან მოსახლეობას აქვს უფლება, იცოდეს სიმართლე საკუთარი ისტორიული წარსული შესახებ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ჩვენსავით გაიარეს კატაკლიზმებით სავსე გზა. მათ უკვე შემუშავებული აქვთ პრინციპთა კრებული და საჭიროა, ამ პრინციპთა კრებულით განვითარდეს მოვლენები საქართველოშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვიღებთ დაუსჯელობის სინდრომს. ის, რომ ჩვენ დავსაჯეთ ორი ადამიანი, არ ნიშნავს, რომ დანაშაულს ვებრძვით. საჭიროა, ამ ამბავმა უფრო ფართო სპექტრი მოიცვას. აღკვეთის ღონისძიება ერთი მიმართულებაა, მაგრამ მეორე მიმართულებაა, დავარქვათ ყველაფერს თავის სახელი და ვთქვათ, რომ დამნაშავემ ჩაიდინა დანაშაული. უნდა ჩამოვაშოროთ ასეთი ადამიანები საქმიანობას, – აცხადებს ბაკურ კილურაძე.

კიდევ ერთი დაზარალებული ბიზნესმენი, რომელსაც კომერსანტი დაუკავშირდა, ანზორ ქოქოლაძეა. იგი ბაკურ კილურაძის მსგავსად პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს. ბიზნესმენი აცხადებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დანაშაულებრივი პროცესებში მონაწილეობდნენ, მაღალ პოზიციებზე არ უნდა ინიშნებოდნენ.

– ადამიანები, რომელთა მიმართაც კითხვის ნიშნები ჩნდება, რომლებიც თეთრი შავზე იღებდნენ სააკაშვილის რეჟიმის დროს გადაწყვეტილებებს, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაინიშნონ უვადოდ. თუ კიდევ იგივე სისტემა დამყარდა, ეს სერიოზული საფრთხის შემცველელი იქნება. როგორც ბიზნესში ასევე საზოგადოებაში უსამართლობის განწყობას გაზრდის, რაც არასტაბილურობის განცდას შექმნის. ჩემი აზრით, თუ ადამიანები თავის დროზე უკანონო გადაწყვეტილებებთან იყვნენ კავშირში, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს მათი დაწინაურება. სასამართლო დღეს არის ყველაზე დაბალრეიტინგული ინსტიტუტი, როდესაც ყველაზე მაღალრეიტინგული უნდა იყოს. ბოლო წლებში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოებას სასამართლოს მიმართ ნდობა დაკარგული აქვს, მეც მათ შორის. აღსანიშნავია, ის, რომ მოსამართლეების არჩევა ჩაკეტილ წრეში არ უნდა ხდებოდეს და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, მათი საქმიანობის შესახებ, რათა ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობა გაჩნდეს, – აცხადებს ანზორ ქოქოლაძე.

*კომერსანტი*

# ბოსტნეულის წარმოებამ ივანიშვილი 4 მილიონით აზარალა



ბიძინა ივანიშვილთან აფილირებულმა „საქართველოს სათბურის კორპორაციამ" 2017 წელი 4.35 მილიონის ზარალით დაასრულა.

კომპანიას, რომელიც „პლანტას" ბრენდით კიტრსა და პომიდორს აწარმოებს, შემოსავლები გაორმაგებული ჰქონდა, ზარალი კი – 2-ჯერ შემცირებული. ფინანსური ანგარიშით ირკვევა, რომ 2017 წელს „საქართველოს სათბურის კორპორაციამ" ბაზარზე 9,554 მლნ ლარის პომიდორი და კიტრი გაყიდა. შემოსავალი 2.17-ჯერ არის გაზრდილი. თუმცა საოპერაციო მოგებაზე გასვლა მაინც ვერ მოხერხდა, მაგრამ შესაძლებელი გახდა 4.3 მილიონიდან საოპერაციო ზარალის 2.69 მილიონამდე შემცირება. წმინდა ზარალი 4.35 მლნ ლარია (2016 წ – 8.4 მლნ ზარალი).

ზარალი გასაკვირი არ არის. სათბურის I ფაზის ოპერირება 2015 წელს დაიწყო. მეორე ფაზა კი 2016 წლის შემოდგომაზე დასრულდა.

კომპანია ფლობს და ოპერირებს რთული, მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სათბურის ობიექტით, რომელიც მდებარეობს 12 ჰექტარზე (სათბური) და შეუძლია გამოზარდოს ყოველწლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქცია.

2017 წელს კომპანიამ მოკრიფა კიტრისა და პომიდვრის 4,984 ტ მოსავალი (2016: 2,911 ტონა).

კომპანიამ 2018 წელს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა, 8,179 მლნ ლარით. ასევე გასულ წელს გააგრძელა ხელოვნური განათების დამონტაჟება სათბურებში. მათ შორის 2018 წლის ივლისიდან დაიწყო განათების სისტემის დამონტაჟება 4 ჰა სათბურში.

კომპანიის ერთადერთი მშობელი კომპანიაა „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF LP). ბენეფიციარ მფლობელად მითითებულია გიორგი ბაჩიაშვილი.

GBC

# კოკა-კოლას ქარხნის ტერიტორიაზე უბნის მშენებლობით დეველოპერები არ ინტერესდებიან

თემურ ჭყონიამ ამ დრომდე ვერ შეარჩია დეველოპერი, რომელიც თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე კოკა-კოლას ქარხნის ადგილზე პატარა უბანს გააშენებს. როგორც ბიზნესმენი „კომერსანტთან" აცხადებს, კოკა-კოლას არსებული ქარხნის ტერიტორიის განვითარებაზე საერთაშორისო კომპანია Cushman & Wakefield Georgia-მ პროექტირება გასულ წელს დაასრულა. პროექტის დეველოპერულ კომპანიებთან გაცნობის პროცესი რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, თუმცა – უშედეგოდ. ბიზნესმენისთვის გაურკვეველია, რატომ არ აქვთ დეველოპერებს აღნიშნული ადგილის განვითარების ინტერესი, მით უმეტეს, რომ ის საკმაოდ მიმზიდველ ლოკაციაზე მდებარეობს.

– სამწუხაროდ, დეველოპერები არ ჩანან, სახლებში ხომ არ შეუვუცვივდებით? დეკლარირება გავაკეთეთ, გამოვაცხადეთ, რომ ვეძებთ. წარმოუდგენლად მიმზიდველი ადგილია. მეგონა, შემაწუხებდნენ და დიდი ინტერესი იქნებოდა, – აცხადებს ჭყონია.

როგორც ცნობილია, კოკა-კოლას ქარხნის ადგილზე პატარა უბნის



გაშენებაში დაახლოებით 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. ჭყონიას განცხადებით, მას შემდეგ, რაც კონკრეტული კომპანია სერიოზულად დაინტერესდება აღნიშნული პროექტით, მოხდება მასზე ქონებისა და პროექტის მართვაში გადაცემა. ჭყონია არ გამორიცხავს ობიექტის 100 პროცენტით გაყიდვასაც.

– როდესაც დეველოპერი დაინტერესდება, ის შეიტანს მერიაში განაცხადს სამშენებლო ნებართვის მისაღებად. მისი თქმით, ის იქნება ან წილში, ან, შესაძლოა, ობიექტი მთლიანად გვექნება წილობრივი მონაწილეობა, თუ ამას არ დათანხმდება, შეიძლება, წილი სრულად გადავცეთ, – აცხადებს ჭყონია.

შეგახსენებთ, კოკა-კოლას არსებული ქარხნის ტერიტორიის განვითარების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ქარხნის ნატახტარში გადატანა გადაწყდა. ჭყონიას თქმით, განიხილებოდა ტერიტორიის გაყიდვაც, თუმცა, Cushman & Wakefield Georgia-ს მიერ დამუშავებული ფინანსური გეგმის შესაბამისად, წერეთელზე პატარა უბნის გაშენებაა დაგეგმილი. 3 ჰა-ზე გაშენებული პატარა უბანი მოიცავს სასტუმროს, კომერციულ ცენტრს, საცხოვრებელ კორპუსს, ფიტნესცენტრსა და სხვა ინფრასტრუქტურას.

# 3 ახალგაზრდა მანქანაში დაიწვა

## ტრაგედია ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე

ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავარიას 3 ახალგაზრდა ემსხვერპლა.

გარდაცვლილები არიან 1997 წელს დაბადებული ბაქარ ზივზივაძე და 1999 წელს დაბადებული გიორგი ხარატიშვილი და ნიკუშა ჭანტურია, რომელიც ავტომობილს მართავდა.



სამივე ახალგაზრდა „მერსედესის“ მარკის ავტომობილში დაიწვა. ისინი კლასელები იყვნენ და სკოლა „პროგრესში“ სწავლობდნენ.

ავტომობილი ბოძს შეეჯახა. შედეგად ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს

# გიგა მაქარაშვილი პროკურატურამ დაზარალებულად ცნო



სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი პროკურატურამ დაზარალებულად ცნო.

2018 წლის ოქტომბერში გორის მერიასთან საპროტესტო აქციაზე თემურ მანველიშვილმა სამოქალაქო აქტივისტ გიგა მაქარაშვილს თავზე ნაგვით სავსე ურნა დაამხო.

გიგა მაქარაშვილმა თემურ მანველიშვილს პროკურატურაში უჩივლა.

ინფორმაციას გიგა მაქარაშვილი სოციალურ ქსელში ავრცელებს:

„არის!!! დამირეკეს პროკურატურიდან! დაზარალებულად მცნეს! ახლა საია ამ საქმეს მარტივად მიიყვანს ბოლომდე! ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!!!“

# გურჯაანის ბაზარში ერთმა დამლაგებელმა მეორეს სცემა

## 80 წლის ქალს ფეხი აქვს მოტეხილი

გურჯაანის აგრარულ ბაზარში ინციდენტი მოხდა.

ნაცემია 80 წლამდე დამლაგებელი ქალი, რომელსაც ამავე ბაზრის სხვა დამლაგებელი ფიზიკურად გაუსწორდა.

დაშავებულს მოტეხილი აქვს ქვედა კიდური და მკურნალობა გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში უტარდება.

თვითმხილველების ინფორმაციით, დაპირისპირების მიზეზი მხარეებს შორის ძველი წყენა გახდა.

ორივე მათგანი ბაზრის ტერიტორიას ალაგებდა. მათ შორის ჩხუბი, ადმინისტრაციის ინფორმაციით, რამდენჯერმე სხვა დროსაც მოხდა.

# ავარია ქუთაისთან

## 1 ადამიანი დაიღუპა

ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა ქუთაისთან ახლოს. უბედური შემთხვევა საღამოს საათებში მოხდა.

ე.წ. მუხნარის ტყეში გზაზე ერთმანეთს 3 მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა. შედეგად 1 მძღოლი დაიღუპა.

მომხდარს შსს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით იძიებს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# 30 წლის მამაკაცს, რომელიც 9 წლის გოგოს ფოტოების გამოქვეყნებით ემუქრებოდა, პატიმრობა შეეფარდა

9 წლის გოგონას მიმართ განხორციელებული შანტაჟის გამო დაკავებულ მამაკაცს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ავთო კუცია წაყენებულ ბრალს აღიარებს.

ამის მიუხედავად, მოსამართლემ ჩათვალა, რომ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის ან მტკიცებულებების განადგურების საფრთხე და მას წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

– სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა დანაშაულების გაგრძელების საფრთხე, ასევე, მტკიცებულებების განადგურების და მიმალვის საფრთხე. გამოძიება გრძელდება და შესაბამისად, გამოძიებას აქვს ორთვიანი ვადა, რომ კიდევ მოიპოვოს მტკიცებულებები, – აცხადებს საქმის პროკურორი ირაკლი ქარდავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა არასრულწლოვანების მიმართ ჩადენილი იძულების და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ხელყოფის ბრალდებით 1988 წელს დაბადებული ნ.კ. დააკავეს.

პოლიციამ ფაქტზე გამოძიება ერთ-ერთი არასრულწლოვნის მშობლის შეტყობინებისთანავე დაიწყო. სამართალდამცველების მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ბრალდებული, ზრდასრული მამაკაცი, ფეისბუქით სისტემატურად აიძულებდა არასრულწლოვნებს, მასთან ინტიმური ხასიათის მიმოწერა ჰქონოდათ. ამ გზით მოიპოვებდა და ხელყოფდა არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას, ასევე მათ პერსონალურ მონაცემებს.

პოლიციამ პირის იდენტიფიცირება მოკლე დროში შეძლო და ის ბრალდებულის სტატუსით თბილისში დააკავა.



გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე და 157-ე მუხლებით მიმდინარეობს.

# კანონიერი ქურდების დავალებით 60.000 ლარის გამოძალვას ცდილობდნენ

## ბრალდებულებს 7 და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ



პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ქურდული სამყაროს წევრობისთვის ბრალდებულებს 7 და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ქურდული სამყაროს წევრობისთვის ბრალდებული პირები – დ.ჭ., კ.ბ. და გ.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დ.ჭ., კ.ბ. და გ.ბ. ქურდულ სამყაროში დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად მოქმედებდნენ და სისტემატური კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ მყოფ კანონიერ ქურდებთან – მ.ზ.-სთან, გ.ხ.-სთან და ა.პ.-სთან, რომელთა დავალებით აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებაში. 2018 წლის აპრილში დ.ჭ., კ.ბ. და გ.ბ. კანონიერი ქურდების დავალებით, მუქარითა და დაშინებით ერთ-ერთი დაზარალებულისგან „ქურდული წილის“ – 60.000 ლარის გამოძალვას ცდილობდნენ.

სამართალდამცველებმა დ.ჭ., და კ.ბ. ქ.თბილისში, ხოლო გ.ბ. სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში 2018 წლის 19 აპრილს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა (2018 წლის 1 მაისამდე რედაქციით)) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად დ.ჭ.-ს და კ.ბ.-ს 7-7 წლით ხოლო გ.ბ.-ს 6 წლით და 6 თვით თავისუფლება აღკვეთა განუსაზღვრა.

# ზოომარტი 5-ჯერ გაქურდეს

## საგანგებო მიმართვა შსს-ს

„ზოომარტი“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს.

„ზოომარტის საგანგებო განცხადება ბოლო პერიოდში გახშირებულ კრიმინოგენურ ვითარებასთან, კონკრეტულად კი საცალო ობიექტების გატეხასთან (ქურდობასთან) დაკავშირებით.

„2017-2019 წლებში 5-ჯერ მოხდა ჩვენს ქსელში არსებული ზოომაღაზიების გატეხა. დღევანდელ დღემდე ორი ძირითადი მიზეზის გამო არ გვსურდა აღნიშნული ფაქტების გასაჯაროება:

1. ხელი არ შეშლოდა გამოძიების პროცესს;

2. გარკვეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს სათავისოდ არ გამოეყენებინათ ეს ფაქტები.

პატივს ვცემთ და ვაფასებთ ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ ყველა პროფესიონალს და ვაცნობიერებთ მათი სამუშაოს რთულ სპეციფიკას, თუმცა, სამწუხაროდ, 2019 წლამდე მომხდარი ყველა ინციდენტი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შემოიფარგლა მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ამოღებით და მას არ მოჰყოლია არანაირი გაგრძელება. არც გაგრძელება და, სამწუხაროდ, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მათი მხრიდან, ფაქტობრივად, არ ყოფილა უკუკავშირი.

2019 წლის შობა დღეს, 7 იანვარს გვიან ღამით ჩვენ ქურდობის შედეგად კიდევ ერთხელ დავზარალდით. ამჯერად, ზარალმა შეადგინა 13.000 (ცამეტი ათასი) ლარი. იმედს ვიტოვებთ რომ გამოძიების პროცესი ამჯერად მაინც აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ვიდეო ჩანაწერების




ამოღებით, მინიმალურ დონეზე იქნება უკუკავშირი/ყურადღება, წარიმართება ეფექტურად, გონივრულ ვადებში და მოიტანს კონკრეტულ შედეგს“, – აღნიშნულია მაღაზიის ინფორმაციაში.

# ვერაზე საჩხერელი თეიმურაზ ქვათაძის მანქანა ჩაცხრილეს



გუშინ, 15 იანვარს, ერეკლე ტატიშვილის ქუჩაზე მოძრავ ავტომობილს ცეცხლი გაუხსნეს.

ავტომობილს სხვა მოძრავი ავტომანქანიდან ესროლეს.

დაცხრილული ავტომობილის მძღოლმა მოძრაობა განაგრძო, ჩავიდა მელიქიშვილის ქუჩაზე და ფილარმონიის საკონცერტო დარბაზთან დაპარკინგებულ ერთ-ერთ ავტომობილს შეეჯახა.

ამის შემდეგ მან საკუთარი ავტომანქანა მიატოვა და გაიქცა.

კურიერის ინფორმაციით, ავტომობილი 1982 წელს დაბადებულ თეიმურაზ ქვათაძეს ეკუთვნის, რომელიც საჩხერეში ცხოვრობს.

ავტომობილს სამი ნატყვიარი აღენიშნება და ჩამსხვრეულია უკანა შუშა.

ვერაზე მომხდარ სროლასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძრა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს.

# „2 შვილი სახლში ელოდებოდა, 3 და 4 წლის... გოგო 7 თვის ფეხმძიმე იყო“

## ავარიაში გორთან ცოლ-ქმარი დაიღუპა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერასთან მომხდარი ავარია მსხვერპლით დასრულდა.

შემთხვევა 14 იანვარს, ღამე მოხდა.

თვითმხილველების თქმით, „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა.

გარდაცვლილია ცოლ-ქმარი. 1982 წელს დაბადებული არჩილ კეჩხუაშვილი და 1991 წელს დაბადებული მარიამ პონომარენკო.

– ორი შვილი სახლში ელოდებოდათ, სამი და ოთხი წლის... გოგო 7 თვის ფეხმძიმე იყო, – აღნიშნავს ერთ-ერთი ახლობელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.



# აფხაზეთში რუსეთის მოქალაქე საკუთარ სახლში მოკლეს

ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქე საკუთარ სახლში მოკლეს.

ამის შესახებ ინფორმაციას საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. შსს ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებული ნიღბიანი უცნობი პირები, რომლებიც კოსტრომის მკვიდრ მიხაილ მასლოვის სახლში შეიჭრნენ, სახლის პატრონმა შენიშნა. თავდამსხმელებმა მას ესროლეს და ფეხში დაჭრეს.

მიღებული ჭრილობებისგან მასლოვი გარდაიცვალა.

დამნაშავეებმა მიმალვა მოახერხეს.

# რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით 2 ადამიანი მოიწამლა

რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით 2 ადამიანი მოიწამლა. მოწამლულები „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს. როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.



# ტრამპმა საგანგებო მდგომარეობის შემოღება გადაიფიქრა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღების სრული იურიდიული უფლება გააჩნია. მიუხედავად ამისა, ამას არ გააკეთებს.

– საგანგებო მდგომარეობის შემოღება ძალზე მარტივია! გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ პრობლემა გადაწყდეს, – თქვა პრეზიდენტმა.

აშშ-ში „შათდაუნი" გრძელდება. ექსპერტებიც არ გამორიცხავენ, რომ ტრამპმა შესაძლოა პოზიცია შეიცვალოს და კვლავ საგანგებო მდგომარეობის შემოღება მოისურვოს.

# უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრი სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს




უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ თავდაცვის ყოფილი მინისტრი სოლომატინი სამშობლოს ღალატში დაადანაშაულა.

პროკურატურა ამტკიცებს, რომ სოლომატინმა ერაყთან უკრაინისთვის ხელსაყრელი კონტრაქტის ჩაშლას შეუწყო ხელი.

სოლომატინი უკრაინის თავდაცვის მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩის დროს იყო. ამჟამად ის რუსეთში იმყოფება.




# ლავროვი: „კურილის კუნძულები რუსეთისაა"

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ კურილის კუნძულების გარშემო რაიმე ვაჭრობა ან მოლაპარაკება გამორიცხულია.

– კურილები რუსეთს ეკუთვნის! ეს საკითხი დახურულია! – თქვა ლავროვმა.

მინისტრმა იაპონიის ხელისუფლებას მოუწოდა, მეორე მსოფლიო ომის შედეგებს შეეგუოს და კურილები რუსეთის ნაწილად აღიაროს.

იაპონია, თავის მხრივ, ამას არ ეგუება და კურილის კუნძულების დაბრუნებას მოითხოვს.

# რუმინეთი ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის წინააღმდეგ

რუმინეთი პროექტ ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის მოწინააღმდეგეთა რიგებს შეუერთდა.

რუმინეთი წელს ევროკავშირის თავმჯდომარეა. ამ ქვეყნის წარმომადგენლებიც მუშაობენ კანონპროექტზე, რომელიც ევროპარლამენტმა უნდა მიიღოს.

ის ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის ბლოკირებისკენაა მიმართული.




# გდანსკის მერი მოკლეს



გდანსკში საქველმოქმედო კონცერტის დროს ტრაგედია მოხდა. სცენაზე უცნობი მამაკაცი ახტა და მერ პაველ ადამოვიჩს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ადამოვიჩი გარდაიცვალა. მკვლელი ვინმე სტეფან პ. იქვე დააკავეს.

დაკითხვაზე მკვლელმა განაცხადა, რომ ციხეში უსამართლოდ ჩასვეს და ამაში ბრალი ადამოვიჩს მიუძღვის.

– მე შური ვიძიე, – ამბობს მკვლელი.

# პომპეო: „ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელი დაისჯება!"



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საუდის არაბეთში ჩავიდა. ის ამ ქვეყნის მეფეს სალმანს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებია.

ამავე დროს, პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობა არ ჩაიფარცხება.

– მკვლელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, დაისჯება! – განუცხადა პომპეომ ჟურნალისტებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ავარიის მსხვერპლი ამოვარდნილი ფილტვით ცოცხალი გადარჩა



ინდოელმა, რომელსაც მანქანა დაეჯახა, რის შედეგადაც ფილტვი ამოუვარდა, სასწრაფო დახმარების გამოძახება შეძლო.

ავარია ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ნოიდაში 2017 წლის ნოემბერში მოხდა, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. 36 წლის კუმარი სამსახურში ველოსიპედით თავის ბიძასთან ერთად მიდიოდა, როდესაც მათ ავტომობილი დაეჯახა. მამაკაცი შეჯახებამ ექვსი მეტრის სიმაღლეზე აისროლა და მკერდით რკინის ფურცლის შვერილზე დაეცა.

ამის შედეგად მისი მკერდის ფიცარი გაიხსნა და მარცხენა ფილტვი გადმოუვარდა. მისი ნათესავი ადგილზევე დაიღუპა. თავად კუმარმა ფეხზე წამოდგომა, მკერდის ტანსაცმლით გადახვევა და სასწრაფოს გამოძახება შეძლო.

თავდაპირველად, ის სახელმწიფო საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა შემთხვევის სირთულიდან გამომდინარე, მისთვის ხელის მოკიდებაზე უარი განაცხადეს. შემდეგ კუმარი კერძო საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ქირურგებმა იქაც უარი თქვეს ოპერაციის გაკეთებაზე. მამაკაცი მის გადარჩენას, მხოლოდ შვილების გულისთვის იხვეწებოდა. საბოლოოდ მხოლოდ მესამე საავადმყოფოს ექიმმა ვაიბხავ მიშრამ განაცხადა თანხმობა ოპერაციის გაკეთებაზე. იმ დროისთვის ავარიიდან უკვე ათი საათი იყო გასული და კუმარი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მკერდიდან ამოვარდნილი ფილტვი დაზიანებული იყო, ასევე მას რამდენიმე ნეკნი ჰქონდა გატეხილი და ბევრი სისხლი დაკარგული.

სასწრაფო ოპერაცია ერთი საათი და 46 წუთს გრძელდებოდა. ექიმებმა გაკერეს ფილტვი, კუნთები და კანი.

კუმარი სწრაფად წავიდა გამოჯანმრთელებისკენ. ერთი კვირის შემდეგ ის საავადმყოფოდან გაწერეს, კიდევ 20 დღის შემდეგ კი უკვე სამსახურში გავიდა. ავარიაში დამნაშავის პოვნა კი ვერ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# „არავის დავსჯით, შევრიგდეთ!“

## ძიუდოს ფედერაციის განცხადება



საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა და ცოტა არ იყოს გაკვირვებულიც დავრჩით. ვფიქრობდით, რომ ამბავი, რომელიც ოსაკაში მოხდა და გახმაურდა, გამოძიებული იქნებოდა. საქმე ეხება ძიუდოისტებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას.

თუმცა, გამოძიების ნაცვლად, საქმე შერიგებისკენ მიდის. ეს კი ნიშნავს, რომ მსგავს პრეცედენტს, შესაძლოა, მომავალშიც ჰქონდეთ ადგილი, რადგან დასჯით არავინ ისჯება.

ვნახოთ, რა წერია ძიუდოს ფედერაციის განცხადებაში:

– ჩატარდა ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის მიერ დაანონსებული ძიუდოს, როგორც ერთიანი სპორტული ოჯახის გაფართოებული შეხვედრა პირობითი სახელწოდებით, „ძიუდოს ღირსების დარბაზი“, რომლის მიზანიც გახლდათ ფედერაციაში შექმნილი მდგომარეობის დეტალური განხილვა და ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება. შეხვედრაზე, კლუბების გარდა, მოწვეულნი იყვნენ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მედალოსანი ვეტერანი ძიუდოისტები, ასევე, ყველა დამსახურებული მწვრთნელი.

თითოეულ წევრს მიეცა საშუალება თავისი აზრის დაფიქსირების, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა ერთიანი ხედვა, რომლის ძირითად პათოსადაც განისაზღვრა ყველა დაპირისპირებული ჯგუფისა თუ პიროვნებებთან მიმართებაში შემრიგებლური, ურთიერთშემხვედრი ნაბიჯების გადადგმის მოწოდებით გაჯერებული პოზიცია.

ამავე დროს, კენჭისყრის ფორმატით სრული მხარდაჭერა იქნა გამოცხადებული ეროვნული ნაკრების გუნდის მთავარი მწვრთნელის, გურამ მოდებაძის, ასევე, ახლად არჩეული პრეზიდენტისა და აღმასკომის მიმართ.

შესაბამისად, მიეცა რეკომენდაცია აღმასკომის გაფართოებული ფორმატის ფარგლებში უკვე შექმნილ კომისიას, ერთი მხრივ, პირველ რიგში მუშაობა გააგრძელოს არა სადამსჯელო, არამედ სწორედ ურთიერთობის ნორმალიზებისა და ბოლო პერიოდში ცალკე გამოკვეთილი ჯგუფებისა თუ ინდივიდუალურად ცალკე აღებული პიროვნებების ურთიერთობების აღდგენის ხელშეწყობის კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, იყოს მაქსიმალურად მკაცრი და მომთხოვნი მომავალში ყველა ისეთი თვითნებური ქმედების მიმართ, რომელიც ლახავს ძიუდოს, როგორც ერთიანი ოჯახის, სახელსა და ინტერესს.

# ქართული ზამთრის ტრანსფერები




ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს რამდენიმე ტრანსფერი უკვე განხორციელდა. ვნახოთ, ვინ სად მივიდა და წავიდა.

### საბურთალო

**მივიდნენ**: ომარ მიგინეიშვილი (მეკარე), დენის შელიკოვი (მეკარე, ბელარუსი), თეიმურაზ გაბუნია (თავდამსხმელი), ლევან კაკუბავა (მცველი), ინტერს გიი (თავდამხსმელი)

**წავიდნენ**: ნოდარ იაშვილი (მცველი), დავით ვოლკოვი (თავდამსხმელი), დიმიტრი ტატანაშვილი (თავდამსხმელი), დავით თარგამაძე (ნახევარმცველი), გიორგი რეხვიაშვილი (მცველი), ბექა ქურდაძე (მეკარე)

### დინამო (თბ)

**მივიდნენ**: ნოდარ იაშვილი (მცველი), ლევან კუტალია (ნახევარმცველი), ფრან კარბია (ნახევარმცველი, ესპანეთი), თორნიკე ძოწენიძე (მცველი)

**წავიდნენ**: მათე ვაწაძე (თავდამსხმელი), თეიმურაზ გაბუნია (თავდამხსმელი), თამაზ ბაბუნაძე (თავდამსხმელი), ლევან ხარაბაძე (მცველი)

**იჯარა დაუსრულდათ**: ბუდუ ზივზივაძე (თავდამსხმელი), ლუკა ლოჩოშვილი (მცველი)

### ტორპედო

**მივიდნენ**: ნოდარ ქავთარაძე (ნახევარმცველი, რიჩარდ და სილვა (თავდამსხმელი), ნიკოლა სტიეპოვიჩი (მცველი), ამბროსი ჩაჩუა (ნახევარმცველი)

**წავიდნენ**: ლევან კუტალია (ნახევარმცველი), ჯიიანგ იინგჰაო (მცველი), ტარიელ ხაინდრავა (მეკარე), მილოშ ლაჩნი (თავდამსხმელი), ლაზარ მარინი (მცველი), მარეკ ჰლინკა (ნახევარმცველი)

**იჯარა დაუსრულდა**: ალექსანდრ აზაცკი (მცველი)

### ჩიხურა

**მივიდნენ**: ბიძინა მახარობლიძე (ნახევარმცველი), ოლეგ მამასახლისი (ნახევარმცველი), თორნიკე მუმლაძე (თავდამსხმელი), ირაკლი კამლაძე (მცველი), გიორგი გადრანი (მცველი), ბესიკ დეკანოიძე (ნახევარმცველი)

**წავიდნენ**: გიორგი გაბედავა (თავდამსხმელი), ირაკლი ბუღრიძე (ნახევარმცველი, ლევან კაკუბავა (მცველი), ბაქარ მირცხულავა (მცველი), გიორგი ბუხაიძე (თავდამსხმელი), კახა კახაბრიშვილი (ნახევარმცველი)

### დილა

**მივიდნენ**: გურამ გიორბელიძე (მცველი), ბაქარ მირცხულავა (მცველი)

**წავიდნენ**: ლეანდრო რიბეირო (ნახევარმცველი), ნოდარ ქავთარაძე (ნახევარმცველი), დავით რაჟამაშვილი (ნახევარმცველი), ანზორ სუხიაშვილი (მცველი), გიორგი გადრანი (მცველი), პა ომარ ბაბუ (ნახევარცმველი), გაირა ჯოოფი (თავდამსხმელი)

### ლოკომოტივი

**მივიდნენ**: ალექსანდრე გურეშიძე (მცველი), რევაზ ინჯგია (თავდამსხმელი)

**წავიდნენ**: რევაზ თევდორაძე (მეკარე), ლევან ქურდაძე (მცველი), ზურაბ დავითაშვილი (ნახევარმცველი)

### რუსთავი

**წავიდნენ**: ომარ მიგინეიშვილი (მეკარე), თორნიკე თარხნიშვილი (ნახევარმცველი)

### სიონი

**წავიდნენ**: გურამ გიორბელიძე (მცველი), ლუკა ნოზაძე (მცველი), გიორგი დათუნაიშვილი (ნახევარმცველი), გურამ მინდორაშვილი (ნახევარმცველი), ალექსანდრე გურეშიძე (მცველი), ბიძინა მახარობლიძე (ნახევარმცველი), ვასიკო ბაჩიაშვილი (მცველი)

**მივიდნენ**: არჩილ ტვილდიანი (მცველი), თორნიკე თარხნიშვილი (ნახევარმცველი), ლევან ისიანი (მეკარე), დავით რაჟამაშვილი (ნახევარმცველი), ანზორ სუხიაშვილი (მცველი), ნიკოლოზ აფაქიძე (მცველი), თამაზ მაქაცარია (თავდამსხმელი)

### დინამო (ბთ)

**მივიდნენ**: გიული მანჯგალაძე (ნახევარმცველი), კიჭი მელიავა (მცველი), თორნიკე გაფრინდაშვილი (ნახევარმცველი), რატი ცაცკრიაშვილი (ნახევარმცველი)

**წავიდნენ**: დავით კიკალიშვილი (მცველი), გიორგი განუგრავა (ნახევარმცველი)

### ვიტ ჯორჯია

**წავიდა**: ირაკლი კამლაძე (მცველი)

# ხელბურთელთა ნაკრების გართულებული გზა



როგორც უკვე იცით, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა ევრო 2022-ის პირველ შესარჩევ ეტაპზე და ბრძოლას მთავარ შესარჩევ რაუნდში მოსახვედრად აგრძელებს. ამ წერილში დაწვრილებით განვიხილავთ გზას ევროპის ჩემპიონატისკენ და ყველა იმ ტურნირს, რომელიც ჩვენს ეროვნულ გუნდს 2019-21 წლებში ელის.

ლუქსემბურგი და კვიპროსი შერჩევის მეორე ეტაპზე უკვე გავიდნენ, ხოლო 2019 წლის 10-16 ივნისს მესამე საგზურისთვის კიდევ ერთი ტურნირი გაიმართება.

აქ 6 ქვეყანა მონაწილეობს – ისინი, ვინც ფლეი ოფში პირველი შესარჩევი ეტაპიდან ვერ გავიდა. ესენია: საქართველო, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ბრიტანეთი, მალტა, ირლანდია.

შეჯიბრების ჩატარების ადგილი და ფორმატი მოგვიანებით გამოცხადდება. ფლეი ოფში ტურნირის ერთი გამარჯვებული გავა.

ფლეი ოფი 2020 წლის აპრილში გაიმართება. პირველი ეტაპის 3 გამარჯვებული ევრო 2020 მთავარ შესარჩევ რაუნდში 3 უარესი შედეგის მქონე გუნდს დაუწყვილდება.

შესაბამისად, ევრო 2020-ის მთავარი საკვალიფიკაციო რაუნდი, რომელიც უკვე მიმდინარეობს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია. აქედან გამოვლინდება ჩვენი პოტენციური მეტოქე ევრო 2022-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში და ასევე – 2021 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომელიც 2019 წლის შემოდგომაზე დაიწყება.

გარდა ამისა, საქართველოს ნაკრები 2019 წლის ოქტომბერში ჩაებმება მსოფლიოს 2021 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში.

მსოფლიო ჩემპიონატზე, ეგვიპტეში, პირველად ითამაშებს 32 გუნდი. ჯერ ზუსტად არაა ცნობილი, რამდენი გუნდი დაემატება თითო კონფედერაციას. სავარაუდოდ, ევროპა მიიღებს 2 ან 3 დამატებით ადგილს.

# მარკიზიო იუვენტუსს ტრიუმფალურ სეზონს უწინასწარმეტყველებს



ტურინის იუვენტუსში კლაუდიო მარკიზიომ 13 სეზონი გაატარა და კლუბის ლეგენდად იქცა. მისი აზრით, მიმდინარე წელი იუვენტუსისთვის ტრიუმფალური უნდა გახდეს:

**კლაუდიო მარკიზიო:**

– სუპერთასი ერთრაუნდიანი დაპირისპირებაა, რომელიც მის მოპოვებას უფრო რთულს გახდის. სამწუხაროდ, ცუდი გამოცდილებაც გაგვაჩნია, როდესაც ვერ მოვახერხეთ ფინალში წარმატების მიღწევა იმ გუნდების წინააღმდეგ, რომლებსაც ნაკლები შანსები ჰქონდათ თავდაპირველი შეფასებებით.

იმედი მაქვს, მიმდინარე სეზონში იუვე სხვა ტიტულთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის თასსაც დაეუფლება! ეს იქნება იდეალური დასასრული იმ ფანტასტიკური ციკლის, რომელიც პირველი მოპოვებული სკუდეტოდან დაიწყო. აქ ჯერ კიდევ არიან ფეხბურთელები, რომლებმაც იციან მისი გემო. ჩემი აზრით, მათ ეს დაიმსახურეს. იმ შრომის შედეგად, რასაც კლუბი წლიდან წლამდე წევს, ეს სრულიად დამსახურებული მიღწევა იქნება. ყველაფერთან ერთად გასულ სეზონებთან შედარებით, წელს ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

# შედეგები

**14 იანვარი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ვულვზი .............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 22 | 18 | 3 | 1 | 50-10 | 57 |
| 2.სიტი | 22 | 17 | 2 | 3 | 59-17 | 53 |
| 3.ტოტენჰემი | 22 | 16 | 0 | 6 | 46-22 | 48 |
| 4.ჩელსი | 22 | 14 | 5 | 3 | 40-17 | 47 |
| 5.არსენალი | 22 | 12 | 5 | 5 | 46-32 | 41 |
| 6.მანჩესტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 44-32 | 41 |
| 7.უოტფორდი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-32 | 32 |
| 8.ლესტერი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-25 | 31 |
| 9.ვესტ ჰემი | 22 | 9 | 4 | 9 | 30-32 | 31 |
| 10.ევერტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 33-31 | 30 |
| 11.ვულვზი | 22 | 8 | 5 | 9 | 23-28 | 29 |
| 12.ბორნმუთი | 22 | 8 | 3 | 11 | 31-42 | 27 |
| 13.ბრაიტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 24-30 | 26 |
| 14.კრ.პალასი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-28 | 22 |
| 15.ბარნლი | 22 | 6 | 3 | 13 | 23-43 | 21 |
| 16.საუთჰემპტონი | 22 | 4 | 7 | 11 | 23-39 | 19 |
| 17.კარდიფი | 22 | 5 | 4 | 13 | 19-41 | 19 |
| 18.ნიუკასლი | 22 | 4 | 6 | 12 | 16-31 | 18 |
| 19.ფულემი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-49 | 14 |
| 20.ჰადერსფილდი | 22 | 2 | 5 | 15 | 13-37 | 11 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სოსიედადი-ესპანიოლი .................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 13 | 4 | 2 | 53-20 | 43 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 10 | 8 | 1 | 27-13 | 38 |
| 3.სევილია | 19 | 9 | 6 | 4 | 31-20 | 33 |
| 4.რეალი | 19 | 10 | 3 | 6 | 28-24 | 33 |
| 5.ალავესი | 19 | 9 | 5 | 5 | 22-19 | 32 |
| 6.ხეტაფე | 19 | 7 | 7 | 5 | 21-16 | 28 |
| 7.ბეტისი | 19 | 7 | 5 | 7 | 22-23 | 26 |
| 8.სოსიედადი | 19 | 7 | 4 | 8 | 23-22 | 25 |
| 9.ჟირონა | 19 | 5 | 9 | 5 | 22-25 | 24 |
| 10.ესპანიოლი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-31 | 24 |
| 11.ვალენსია | 19 | 4 | 11 | 4 | 17-17 | 23 |
| 12.ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 30-35 | 23 |
| 13.ვალიადოლიდი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-21 | 22 |
| 14.ლეგანესი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-21 | 22 |
| 15.ბილბაო | 19 | 4 | 10 | 5 | 20-25 | 22 |
| 16.ეიბარი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-28 | 22 |
| 17.სელტა | 19 | 5 | 6 | 8 | 31-32 | 21 |
| 18.რაიო | 19 | 5 | 4 | 10 | 22-34 | 19 |
| 19.ვილიარეალი | 19 | 3 | 8 | 8 | 20-25 | 17 |
| 20.უესკა | 19 | 2 | 5 | 12 | 17-36 | 11 |

# ბითაძის ჯარიმები, ბურჯანაძის ორმაგი დუბლი და სანაძის შედეგიანი დებიუტი

გოგა ბითაძის ბუდუჩნოსტმა ადრიატიკის მორიგ ტურში ფმპ-ს სტუმრად, ბელგრადში მოუგო, ქართველმა ცენტრი კი ამ მატჩში პერსონალურების ლიმიტის გამო მხოლოდ 14:30 წუთი ითამაშა. ბითაძის გუნდმა კი 87:70 მოიგო.

ქართველი ლეგიონერი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 4 ქულა, 8 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

ბუდუჩნოსტმა 10 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და ადრიატიკის ლიგის სატურნირო ცხრილში მე-3 პოზიციაზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი შინ, მე-2 ადგილზე მყოფ ხორვატულ ცედევიტასთან ჩაატარებს.

მანამდე, ევროლიგის ეგიდით, პოდგორიცელები მადრიდის რეალს უმასპინძლებენ.

ესპანეთის ჩემპიონატის მე-16 ტურში გიორგი შერმადინის უნიკახამ ესტუდიანტესს უმასპინძლა და 82:76 დაამარცხა. ეს ნიშნავს, რომ თებერვალში გასამართ ესპანეთის სამეფო თასზე განთესილი გუნდის სტატუსი მოიპოვა.

მალაგელების ეს გამარჯვება ლიგაში მე-11 იყო, რითაც უნიკახამ მე-4 ადგილი გაიმყარა და სამეფო თასის დაწყებამდე გასამართ მატჩებში მას ვერავინ დაეწევა.

შესაბამისად, 14-17 თებერვალს, მადრიდში გასამართ სამეფო თასზე, რომელშიც ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატის 8 საუკეთესო გუნდი მონაწილეობს, 4 განთესილი გუნდი იქნება – ბარსელონა, ბასკონია, რეალი და უნიკახა. სწორედ ეს გუნდები ამ თანმიმდევრობით იკავებენ ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატის 1-4 ადგილებს და სამეფო თასის დაწყებამდე მათ ლიდერობას არაფერი ემუქრება.

რაც შეეხება ესტუდიანტესთან მატჩს, იგი მალაგელთა 6-ქულიანი უპირატესობით კი დასრულდა, თუმცა მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა. უნიკახა მთელი თამაშის მანძილზე იგებდა. ბოლო პერიოდში 14 ქულით ჩამოიტოვა მეტოქე და დარჩენილ დროში თავს დასვენების საშუალება მისცა.

გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო გიორგი შერმადინი, რომელმაც 26 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. გიორგიმ 6-დან 4 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 14-ს გაუტოლდა. შერმადინზე მეტი – 14 ქულა მალაგელთაგან დანიელ დიესმა ჩააგდო.

შემდეგ ტურში შერმადინის გუნდი სტუმრად ობრადოირიოს დაუპირისპირდება.

ესპანეთის ჩემპიონატშივე ბექა ბურჯანაძის მე-3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბითაძის ჯარიმები, ბურჯანაძის ორმაგი დუბლი და სანაძის შედეგიანი დებიუტი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ორმაგი დუბლი მიითვალა, ხოლო ქართველი ფორვარდის გიპუზკოამ მანრესას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 85:91 დამარცხდა. ბურჯანაძის შედეგიანი გარჯა გამარჯვებით ვერ დაფასდა.

ბექა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 31 წუთი გაატარა. მან სანსებასტიანურ გუნდს 12 ქულა, 10 მოხსნას და ერთი პასი შესძინა. ბურჯანაძემ 9-დან სამი სამქულიანი, 4-დან ერთი ორქულიანი და 2-დან ერთი საჯარიმო სროლა ჩააგდო.

გიპუზკოა ესპანეთის ჩემპიონატში 3 მოგებით და 13 წაგებით ბოლო მე-18 ადგილზეა. მომდევნო შეხვედრაში სტუმრად ესტუდიანტესს შეხვდება.



საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატმა, ლუკა ბულაშვილმა მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა ესპანეთში, ება ლიგაში. 20 წლის ქართველის კულერედო სტუმრად ინოვა ჩეფს შეხვდა და 4 ქულით – 64:68 დამარცხდა.

ბულაშვილმა 36 წუთში 26 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 11-დან 5 ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

შედეგად, ბულაშვილის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 21-ს უწია, რაც გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

კულერედოს 8 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-2-4 ადგილებს ინაწილებს, მომდევნო შეხვედრას კი შინ, ნარონთან ჩაატარებს.

დე ეგუესთან გასვლითი მატჩი 67:59 მოიგო რატი ანდრონიკაშვილის მირაფლორესმა. ქართველი კალათბურთელი მოედანზე 12 წუთი იყო და აქტივში მხოლოდ 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა ჰქონდა. რატიმ 3 ორქულიანი ააცილა.

მირაფლორესი 7 მოგებითა და 5 მარცხით მე-6 პოზიციაზეა, მომდევნო მატჩი შინ, მონდრაგონთან ელის.

დუდა სანაძის ბრწყინვალე დებიუტი შედგა პოლონეთის უმაღლეს ლიგაში. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა სეზონის ბოლომდე კონტრაქტი რადომ როსასთან გააფორმა და პოლონეთის ჩემპიონატის მატჩში ახალ კლუბში დებიუტი ჰქონდა. რადომი სტუმრად ლიუბინის სტარტს შეხვდა და 91:109 დამარცხდა, ქართველი ლეგიონერი კი 21 ქულით თავის გუნდში ბომბარდირი გახდა.

სანაძე სასტარტოში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე 27 წუთი გაატარა და ამ მაჩვენებელში თანაგუნდელთაგან მხოლოდ ობი ტროტერს ჩამორჩა. დუდამ 7-დან 5 ორქულიანი, 9-დან 3 სამიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 21 ქულასთან ერთად სანაძემ 3 მოხსნა 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

სანაძე რადომელთა ბომბარდირი გახდა, სარგებლიანობის ინდექსით კი საუკეთესოობა 3 თანაგუნდელთან – იაკუბ პარჟენსკისთან, კარლ ლინდბომთან და ობი ტროტერთან გაიყო. ოთხივეს მაჩვენებელმა 15 ერთეული შეადგინა.

5 მოგებითა და 10 მარცხით რადომი 16-გუნდიან ლიგაში მე-13 ადგილზე იმყოფება. შემდეგ ტურში, რადომი სლემ სტალ ოსტროვს უმასპინძლებს.

სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მე-5 საკონფერენციო მატჩი გამართა და მეორე მარცხი განიცადა. მეკობრეები სტუმრად მარკეტს შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში – 66:70 დამარცხდნენ.

ქართველი ფორვარდი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და თანაგუნდელ მაილს პოუელთან ერთად მოედანზე ყველაზე მეტი – 36 წუთი გაატარა. მამუკელაშვილი შედეგიანობით მხოლოდ პოუელს ჩამორჩა. ეს უკანასკნელი ყველა მატჩში ბომბარდირია და ასე იყო მარკეტთანაც, რომელშიც მან 21 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა. მამუკელაშვილის ანგარიშზე კი 13 ქულა, 6 ქულა, 3 დაფარება და თითო ჩაჭრა-პასი იყო. სანდრომ 7-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

3 მოგებითა და 2 მარცხით სეტონ ჰოლი 10-გუნდიან ბიგ ისტის კონფერენციაში მარკეტთან ერთად 2-3 ადგილებს იყოფს. შემდეგ მატჩს მეკობრეები სტუმრად პროვიდენსთან გამართავენ.

გიორგი ცინცაძისა და მიხეილ ბერიშვილის დიდებული თამაშის წყალობით ალ შამალმა ყატარის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ლიდერობა გაიმყარა. ცინცაძემ ნებისმიერი გამთამაშებლისთვის საოცნებო – 17 პასი მიითვალა, რითაც თანაგუნდელებს, მათ შორის ბერიშვილსაც დიდად გაუადვილა ქულების მოგროვება.

ალ შამალმა ალ რაიანს უმასპინძლა და 91:79 დაამარცხა. ცინცაძემ 33 წუთში 4-დან 3 ორქულიანი, 9-დან 3 სამქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 16 ქულას, 17 პასი, 6 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიაყოლა.

შედეგად, ცინცაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 32-ს გაუტოლდა და მან მცირედით აჯობა დოჰელთა უმთავრეს ბომბარდირ მოჰამედ ჰარატის (31), რომელმაც ამჯერად 24 ქულა, 15 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. ქართველი გამთამაშებელი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

შედეგიანად გაისარჯა ბერიშვილიც, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა. 40 წუთის განმავლობაში მიშას მონაგარი 20 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება იყო. ქართველმა ლეგიონერმა 6-დან 4 ორქულიანი და 13-დან 4 სამქულიანი გამოიყენა.

ალ შამალმა 8 ტურში 7 მოგება მოაგროვა და კვლავაც 1-2 ადგილებს ინაწილებს ალ სადთან.

# მარტოხელა დედის მიერ ნაშვილები ბავშვები ნათესავები გამოდგნენ

აშშ-ის მცხოვრებმა ქალბატონმა აღმოაჩინა, რომ საკუთარი მზრუნველობის ქვეშ აყვანილი გოგონა, მის მიერ ნაშვილები ბავშვის და ყოფილა და ისიც დაუყოვნებლივ იშვილა.

კოლორადოს შტატის მკვიდრი კეტი პეიჯი რამდენიმე წლის წინ ქმარს გაშორდა და ძალიან განიცდიდა იმ ფაქტს, რომ შვილების ყოლა არ შეეძლო. ქალმა, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 30 წელი, რამდენიმე სამსახური და საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა, სანამ ღვთისმსახურმა არ ურჩია, რომ ობლებზე მზრუნველი გამხდარიყო, რაც მან 2016 წელს გააკეთა კიდეც. პეიჯმა საკუთარი მზრუნველობის ქვეშ ოთხი ბავშვი აიყვანა და მალე მიხვდა, რომ შეეძლო მათი დედობილი გამხდარიყო.

2016 წლის ზაფხულში მას სამშობიარო სახლიდან დაურეკეს და მოუყვნენ ახლად დაბადებული ბიჭის, სახელად გრეისონის, შესახებ, რომელიც დედამ მიატოვა. პეიჯი დაუყოვნებლივ მივიდა სამშობიაროში და ბავშვი ნახვისთანავე შეუყვარდა. მან ბიჭი 2017 წლის მაისში ოფიციალურად იშვილა.

ბავშვის შვილად აყვანიდან ერთ თვეში მას იგივე სამშობიაროდან დაურეკეს და აცნობეს მიტოვებული ახლად დაბადებული გოგონას, სახელად ჰანას, შესახებ. პეიჯმა გადაწყვიტა ბავშვი საკუთარ მზრუნველობაში აეყვანა. როგორც კი ქალმა ბავშვი სახლში მიიყვანა და სახვევები მოხსნა,



მას თვალში მოხვდა სამაჯური, რომელზეც გოგონას ბიოლოგიური დედის სახელი ეწერა და რომელიც გრეისონის დედის სახელს ემთხვეოდა.

სამშობიაროს თანამშრომლებმა ჰანას დედის შესახებ იგივე მიამბეს, რაც ადრე გრეისონის დედაზე მომიყვნენ. სახელიც იგივე აღმოჩნდა, ის კი არც ისე გავრცელებული სახელია, – აღნიშნა პეიჯმა.

ქალმა ბავშვების ნათესაური კავშირის დამტკიცება მაშინვე ვერ შეძლო, ვინაიდან მათმა დედამ ნამდვილი გვარი დამალა და ასევე პირველი მშობიარობის თარიღიც შეცვალა. თუმცა დნმ-ის ანალიზმა ყველა ეჭვი გამორიცხა და პეიჯმა გოგონას შვილად აყვანა გადაწყვიტა. ახლა კი მას მესამე ბავშვის შვილად აყვანის იმედიც აქვს, რომელიც იმავე ქალმა ახლახან გააჩინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## ქალბატონი ეთერის წამლები სასწაულს ახდენს!

ქალბატონო ეთერ, თქვენი წამლები და მალამოები არამარტო საქართველოშია ცნობილი, მას უკვე საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებიც იცნობენ და სათანადო ნდობითაც სარგებლობენ.

მინდა ჩემ შესახებ მოგიყვეთ – მქონდა გართულებული კუჭის წყლული, რომელსაც ბევრი ვუმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ჩემმა მეგობარმა გაიკეთა ოპერაცია, რომელიც ფატალურად დამთავრდა. ამის შემყურე ვეღარ გავბედე ოპერაციის გაკეთება. ტელევიზიით მოვისმინე ქალბატონი ეთერის შესახებ და მივედი მასთან და მისი საგვარეულო წამლების გამოყენებით განვიკურნე. დიდი მადლობა და წარმატებები მას.

**ლია კანკავა**: მქონდა გართულებული დისბაქტერიოზი, ექიმებთან მკურნალობამ, სამწუხაროდ, შედეგი ვერ გამოიღო. მხსნელად ქალბატონი ეთერის წამალი მომევლინა, რომელსაც აქვს იმუნური სისტემის გაძლიერების, სისხლის გამწმენდი ეფექტი, ხოლო მისი მალამო ეფექტურად მოქმედებს კისტოზურ წარმონაქმნებსა და ნაწოლებზე, განგრენის პრევენციაზე.

**გიორგი თაყაიშვილი**: მქონდა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. ვიტანჯებოდი ტკივილებისაგან, მხსნელად მომევლინა ქალბატონი ეთერის წამალი. ახლა ყველაფერს ვჭამ ზომიერების ფარგლებში და ვცხოვრობ ტკივილის გარეშე.

**მაია თვაური**: მკერდზე მქონდა კვერცხის ფორმის გამაგრება. დედაჩემმა, რომელიც ონკოლოგია, ტელევიზიით შეიტყო ქალბატონი ეთერის მრავალსაუკუნოვანი წამლის შესახებ, რომელსაც არა აქვს უკუჩვენება, ამასთან ერთად აქრობს ჩიყვის დროს კვანძებს, ანთებით პროცესებს. ახლა, გაძლიერებული გრიპიანობის დროს, მისი წამლების გამოყენება მეტად დროული იქნება იმუნიტეტის ამაღლებისათვის.

დიდი მადლობა ქალბატონო ეთერ! იცოცხლეთ დიდხანს.

**მისი ტელეფონებია: 599-96-44-63; სახლის – 269-17-37**
**ეთერ კიკვილაშვილი**


## ასტროპროგნოზი
### 16 იანვრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მარილით, ხახვით და ძმრით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. ყვითელი ფერის, მტკიცე გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 3. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბ-ბინა; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. ბრიტანული არაყი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში; 20. ყავის მოსადუღებელი სპილენძის სახელურიანი ჭურჭელი.

**თარაზულად**: 5. ქართველი დრამატურგი, სცენარისტი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. მხარე გერმანიაში; 10. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 13. ქართული კონიაკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 18. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 19. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გერმანია; 2. ვარდი; 3. დეკანოზი; 4. მეტეხი; 7. ებანი; 9. ოსუმი; 12. აგლომერატი; 14. რეკეტი; 15. კრაკოვი; 17. მოლუსკი; 20. ტენგე.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. სენატორი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. პოემა; 19. მარსი; 21. ნესტლე; 22. კვადრიგა; 23. პარკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დულცინეა; 2. ყალბი; 3. კვარიათი; 4. ხანუკა; 7. ოტიტი; 9. პროზა; 12. კრაკოვიაკი; 14. მიზერი; 15. გრუბერი; 17. კონფუცი; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. მუკუზანი; 6. ტავერნა; 8. ლიბრეტო; 10. ნატამალი; 11. ჰედერი; 13. სეინერი; 16. ჯანელიძე; 18. ჰობოი; 19. პუარო; 21. იბერია; 22. არსენალი; 23. ქურციკი.

# რობერტ სტურუა: „გპირდებით, ერთი წელიც უნდა ამიტანოთ“



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თავის ერთგულ მაყურებელს მიმართა და კიდევ ერთი წელი ითხოვა:

– შემთხვევით ვუყურე ამერიკულ კინოკომედიას. ვერ ვიტან. ძალიან ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ... მაგრამ ბებრები. განსაკუთრებით ერთმა, უდიდესმა მსახიობმა მამაკაცმა დეპრესიის ჭაობში გადამისროლა. ოდესღაც ნამდვილი კინოკერპი და ოსტატობის საოცარი ნიმუში დაბერებული ცდილობდა, ეკრანზე კვლავ ახალგაზრდა ყოფილიყო... ვინც არ იცის მისი ბრწყინვალე წარსული, იფიქრებდა, რა უნიჭოაო და ზიზღით გამორთავდა ტელევიზორს. უეცრად ჩემი თავი გამახსენდა:

არ ჯობდა, დროზე წავსულიყავი მარილზე, გავიფიქრე ჩემთვის. აღარავინ იტყოდა ნერვებმოშლილი: კიდევ ცოცხალია ეს არამზადა!

ვიქნებოდი ჩემთვის სამტრედიაში თედორე სტურუას საფლავის გვერდით. მშვიდად მივუწვებოდი ნაბაკევის მიწაში დიდ ბაბუაჩემს. თეატრალებიც დაწყნარდებიან, განსაკუთრებით ერთი მეფისტო გაიხარებს.

გპირდებით, ერთი წელიც უნდა ამიტანოთ. მერე თქვენი იქნება ეს არც ისე საოცარი ქართული თეატრი.

# ლიკა ქობულაძე პატრულს უსამართლო დაჯარიმებაში ადანაშაულებს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ლიკა ქობულაძე პატრულს უსამართლოდ დაჯარიმებაში ადანაშაულებს:

– უსამართლო პატრული!

წარმოდგენილი საპატრულო ჯარიმის ქვითრით სრულიად დაუმსახურებლად და უსამართლოდ შობა-ახალი წელი მომილოცა „სამართალდამცავმა“ პატრულ- ინსპექტორმა, ბატონმა დავით კოვზირიძემ.

დელისის მეტროს მიმდებარედ, კერძოდ, აფთიაქ „ჯიპისისთან“ ვახორციელებდი ავტომობილის პარკირებას. შევამჩნიე რა, რომ ერთ-ერთი ავტომობილი ათავისუფლებდა საპარკინგე ადგილს, დაველოდე ადგილის გათავისუფლებას, რათა დამეპარკინგებინა ავტომობილი, რასაც, სავარაუდოდ, დასჭირდებოდა 10-15 წამი. ზუსტად ამ მომენტში მომმართა საპატრულო ინსპექტორმა, რომელსაც არაერთხელ განვუმარტე, რომ ავტომობილი ათავისუფლებდა საპარკინგე ადგილს, სადაც ვგეგმავდი ავტომობილის დაპარკინგებას. საპარკინგე ადგილის გათავისუფლებას თავად შეესწრო საპატრულო ეკიპაჟი. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გამომიწერეს საჯარიმო ქვითარი. ამ პროცესში ოფიცერმა გამორთო ვიდეოგადაღება. მე მას არაერთხელ მივუთითე, რომ ჩაერთო ვიდეოგადაღება, მაგრამ უშედეგოდ...

თუ ჩემ მიერ შეტანილი თანხა ქვეყნის ბიუჯეტს შეავსებს, მე თავს ბედნიერად ჩავთვლი, მაგრამ, არა მგონია, ასეთი უსამართლო ჯარიმებით სამართალდამცავების ნდობა და რეიტინგი ამაღლდეს.

# ნაირა გელაშვილი დედებს სასარგებლო რჩევას აძლევს



– დედებო! ნუ დააგვიანებთ თქვენი პატარა შვილებისათვის ამ სიტყვების თქმას: „ცოდოა!“, „სტკივა!“ როცა ისინი პეპელას ფრთებს აძრობენ, ჩიტს ქვას უმიზნებენ ან ფეხით სრესენ უმწეო ყვავილს. – ასე მიმართავს დედებს მწერალი ნაირა გელაშვილი:

– ერთ პოეტს უთქვამს, სათნოება მცენარესთან მიმართებით იწყებაო. ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ, ბავშვურ სისასტიკეს დროზე უნდა ალაგმვა, რათა შემდეგში იგი სამყაროს მიმართ დაუნდობლობად არ ჩამოყალიბდეს და ჩვენსავე წინააღმდეგ არ შემოიქცეს.

ცხოველები და მცენარეები ჩვენი უმცროსი დები და ძმები არიან... ზნესრულმა ადამიანმა თავისი გული და სული, ზრუნვა და ფიქრი მთელ სამყაროს, ყოველ ცოცხალ არსებას უნდა გაუნაწილოს. ყველაფერი ცოცხალია, ვარსკვლავიცა და მცენარეც, მათაც სტკივათ, როცა კლავენ და ამტვრევენ. ეს ცოცხალი არსებები ჩვენგან ელიან შველასა და დახმარებას და დახმარება და მოვლა უნდა შევძლოთ, უნდა გავუგოთ მათ, უნდა ვიცოდეთ ისინი, უნდა შევისწავლოთ. სამყაროთი აღტაცება, მისდამი მოწიწება, მისი სიყვარული უნდა იყოს მისი შესწავლის წინაპირობა, მან უნდა მომანდომებინოს მისი შემეცნება.

# პანტომიმის თეატრს სარეკლამო ბანერი დაუმტვრიეს



დაუდგენელმა პირებმა პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სარეკლამო ბანერი დაამტვრიეს.

სამწუხაროდ, პანტომიმის თეატრისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის.

ინფორმაცია ამის შესახებ თეატრის ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, უმცროსმა ამირან შალიკაშვილმა გააკეთა:

– მერიამ გაგვიკეთა! ვიღაცამ დაგვიმტვრია! საქმის კეთება ბევრს არ მოსწონს! რა დავაშავეთ?

# „მხოლოდ ქართული“ გიორგი ნარმანიამ დატოვა



მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული“ ნახევარფინალში გიორგი ნარმანიამ დატოვა. ამ კონკურსანტის პროექტიდან გაშვება მის გულშემატკივართან ერთად რიგითმა მაყურებელმაც ძალიან განიცადა, რადგან, მათი თქმით, გიორგი გაბუნიამ გიორგი ნარმანიას შეურაცხყოფა მიაყენა.

გიორგი გაბუნიამ გიორგი ნარმანიას მისცა შანსი, საკუთარი თავისთვის ქულა დაეწერა და გიორგიმაც თავისი ნამღერი უმაღლესი – 10 ქულით შეაფასა.

ნახევარფინალისტებმა კონცერტზე ქართული სიმღერები ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად იმღერეს. მათ გასამხნევებლად სცენაზე ავიდნენ ნანი ბრეგვაძე და ეკა მამალაძე. ჟიურის მეექვსე წევრად კი პროექტის ხელმძღვანელებმა ნინო ქათამაძე მიიწვიეს. ჟიურის მუდმივი წევრი გიორგი უშიკიშვილი პროექტს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოეთიშა.

ნახევარფინალში სულ 183.000 ხმა შევიდა. მაყურებლების ხმების უმრავლესობა უცვლელად კვლავ გიორგი კელაპტრიშვილმა მიიღო.

მაყურებელს, გიორგი ნარმანიასადმი უსამართლო დამოკიდებულების გარდა, არც გუგა მარგველაშვილი დავიწყებია, რომელსაც, მათი აზრით, ჟიური ასევე უსამართლოდ აკლებდა ქულებს.

დავით გველესიანი, ანსამბლ „რუსთავის“ წევრი:

– ვინც უყურა „მხოლოდ ქართულს“. ვუსმენ გუგა მარგველაშვილის შეფასებებს ჟიურის მხრიდან და არც ერთს არ მოსვლია აზრად, რომ ეს „ზედმეტი“ ძალა მეორე ნაწილში გამოწვეულია ორკესტრის „ზედმეტი“ ძალისგან. რა ემოციაც მოდიოდა ორკესტრისგან, ის უპასუხა გუგამაც. მას აქვს ამის ვოკალური რესურსი. წლების მერე გაგვეცინება ამაზე, რადგან, ვიცი, ლა სკალაში დავესწრები გუგას სპექტაკლს!

ინგა ჯახუტაშვილი, ბათუმის ოპერის მომღერალი:

– რა არ მოგეწონათ მარგველაშვილის ნამღერიდან ჟიურის? 1. ქათამაძე შენი ნამღერიდან არც ერთი სიტყვა სუნთქვის აღების გარეშე არ მომისმენია არასდროს – სი „სუნთქვა“ ყვა „სუნთქვა“ რუ „სუნთქვა“ ლი „სუნთქვა“! 2. ბრეგვაძის ნამღერზე არასდროს სიამოვნება არ მიმიღია და არც თაობა გაზრდილა! 3. ბერიძის არც პიანისტობაც მოგვისმენია, როგორც ასეთი! 4. ნიჟარაძე, შენ, მეგონა, ხმას მაინც პატივს სცემდი, მაგრამ უხმო არჩიე 10 ქულისთვის! არც შენ ხარ პროფესიონალი! 5. დანარჩენზე კომენტარს არ გავაკეთებ! ვინ დაგაბრალათ ჟიურობა თქვეეეეეენ!

„მხოლოდ ქართულის“ ნახევარფინალის ასეთ აჟიოტაჟს გამოეხმაურა შოუს ერთ-ერთი წამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი:

– ვისაც ცუდი მეხსიერება გაქვთ, გაგახსენებთ ქრონოლოგიურად:

ფბ-ზე დაიდო გიორგი ნარმანიას სიმღერა. გოგოს ხელი სთხოვა, რის შემდეგაც რუსთავი 2, ხაზს ვუსვამ, რუსთავი 2 დაუკავშირდა მას და გადაცემაში მონაწილეობა სთხოვა.

პარალელურად, მოვიწვიე გადაცემაში. არც ერთი სხვა მონაწილე პერსონალურად გადაცემაში არ მყოლია. გავუკეთე პორტრეტი და გავუშვი საქორწინო მოგზაურობაში.

მეორედ კიდევ მოვიწვიე გადაცემაში, როცა „მხოლოდ ქართულს“ ვაშუქებდი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ყველაფერი მქონდა გაკეთებული.

გუგა მარგველაშვილი აუტსაიდერებში იდგა 4-ჯერ, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში დგომას იმსახურებდა. მხოლოდ იმიტომ, რომ გაგდების კანდიდატი ბევრჯერ იყო, მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა, თუმცა არა ნარმანიასთან შედარებით. ნარმანია მისი კონკურენტი არ ყოფილა იმიტომ, რომ ზარების რაოდენობით მეორე, მესამე ადგილზე იყო მუდმივად. ლოგიკა მარტივია, ვისაც უჭირს, მხარდაჭერაც იმას უნდა.

რა მოხდა, როცა გაბუნიამ ნარმანიას დაუწერა 6 ქულა. რა და ზარებმა ის გადაარჩინა. რა მოხდა, როცა ნარმანიამ თავის თავს დაუწერა 10, ვნახეთ. კონკურსში ჟიური იმიტომ ზის, რომ შეაფასოს. ვინც ფიქრობთ, რომ კრიტიკული აზრი ბულინგია, კონკურსებს აღარ უყუროთ.

როცა ვიღაცას გულშემატკივრობ, მეტი ემოციაა, მეტი წყენაა, მაგრამ, უნდა ხედავდე, არის თუ არა შენზე ძლიერი მონაწილე კონკურსში. მე თუ სამართლიანობას მიწუნებთ და მივიღებ თქვენს შენიშვნას, თქვენ თავმდაბლობას გიწუნებთ და, როგორც თქვენ გაქვთ უფლება, საჯაროდ მითხრათ შენიშვნა, ისე მე მაქვს უფლება, გითხრათ, რომ გულშემატკივრობა არ ნიშნავს კრიტიკის ზიზღს. ასეთ კონკურსებში ადამიანები მიდიან იმიტომ, რომ შენიშვნებიც ისმინონ.

რაც შეეხება გიორგი გაბუნიას, დაწერილ 6-იანში ნამდვილად არ დავეთანხმე თავის დროზე, ვიდეოს დავდებ მალე, ისევე, როგორც სიმღერის დაწუნებაში, იმიტომ რომ ნარმანია არ არჩევდა სიმღერას. ამ ვიდეოსაც დავდებ მალე, მაგრამ გუშინ გააკეთა ძალიან სწორი სვლა. მაყურებელს ანახა, რეალურად რას ითხოვდნენ მისგან. რაც შეეხება მადლობას, ამ ვიდეოსაც დავდებ, მადლობას ვუხდი ყველას გულშემატკივარს, სახელებს ვთვლი მონაწილეების და, ბუნებრივია, გუგას გულშემატკივრებით ვიწყებ იმიტომ, რომ მისი გადარჩენა მაყურებელს სწორედ მე ვთხოვე.

წარმატებებს გისურვებთ, მათ შორის მაგინებლებსაც. რაც შეეხება გიორგი ნარმანიას, ამ პროექტმა მას ყველაზე მთავარი, პოპულარობა და ხალხის სიყვარული მოუტანა და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, ჯანდაცვის გამოცდილი ორგანიზატორი, ამაგდარი და ღვაწლმოსილი პიროვნება, ბატონი

**თამაზ ჯიბლაძე**

და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 16 იანვარს, ნინო ჩხეიძის ქ. №20.

გამოსვენება: 17 იანვარს, 14:00 საათზე, ხეთაგუროვის ქუჩა №7 (ვორონცოვი), წმიდა ნიკოლოზის ტაძრიდან.

## ავთანდილ მურვანიძის გახსენება

ჩვენო ავთანდილ, წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გაუსაძლისია ჩვენთვის ამ ტკივილის მოშუშება. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილსა და თავზარდაცემას, რასაც უშენობა ჰქვია.

დრო გადის, ტკივილი არ ცხრება. დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, მწუხარება და ტკივილი უფრო გვირთულდება.

გვენატრება შენი სახე, ღიმილი, ხმა. თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ, შენ გვერდით რომ ვიყავით.

შენი მოულოდნელი წასვლა თავზარდამცემი იყო ჩვენთვის. გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ადამიანური უბრალოებით გამორჩეულ ასეთ მშვენიერ კაცზე იტყვიან, ნეტავ იმ ოჯახს, რომელსაც შენ პატრონობდი, სამეგობროს, სადაც შენ ტრიალებდი, იმ მიწას, სადაც შენისთანები განისვენებენ.

უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში.

*შენი გარდაცვალებით დამწუხრებული სოხუმელი მეგობრები*

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეზობელი, საცხოვრებელი კორპუსის უხუცესი მანდილოსანი, დიდებული შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი

**ეთერ მეზვრიშვილი**

დაკრძალვა: 17 იანვარს.

მისამართი: დიღმის მასივი 5/22/21.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 იანვრისთვის


აშშ დოლარი — 2.6650


ევრო — 3.0546


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4227


100 რუსული რუბლი — 3.9631

## ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის




10 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




15 იანვრიდან




ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




## რიანა საზოგადოებაში ძველმოდური საშინელი ჩექმებით გამოვიდა



ამერიკელი პოპ-შემსრულებელი რიანა ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში მოდიდან გამოსულ ჩექმებში გამოწყობილი დააფიქსირეს. მისი ამსახველი ფოტოსურათები ერთ-ერთმა ცნობილმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ფრენისთვის მომღერალმა კლასიკური ქვიშის ფერი საშუალო სიგრძის უგი შეარჩია. მას ასევე ეცვა ფართო ღია ფერის ჯინსი, შავი ფერის ბრიტანული ბრენდის თბილი ქურთუკი, ქურთუკი-პერანგი ოვერსაიზი და დიორის ხელჩანთა.

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მითხარი რამე, რას გაჩუმებულხარ. შენი დუმილი პირდაპირ მაცოფებს. მიდი... გელოდები...

– რა გითხრა?

– ხმა ჩაიწყვიტე, ნაძირალავ!

●●●

მამაკაცი ექიმთანაა მიღებაზე:

– ექიმო, ბოლო დროს უცნაური რაღაც მემართება: ვთქვათ, ვინმეს ვესაუბრები, მგონია, რომ რაღაცას ვუყვები, მერე კი აღმოჩნდება, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე არც არაფერი მითქვამს...

ექიმი:

– კაცო, აღარ იტყვი, რა გჭირს?! ამოიღებ ხმას თუ არა?

●●●

საღამოა, კაცი ფანჯარაში იყურება, მერე ცოლს მიუბრუნდება და ეუბნება:

– საყვარელო, გინდა ციდან ვარსკვლავი მოგიწყვიტო?

– არავითარი ვარსკვლავი, ამ საღამოს სახლში იჯდები!

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წელსაც მინდა პარიზში წასვლა.

– შარშან იყავი?

– არა, შარშანაც მინდოდა.

●●●

ორი ნარკომანი ტყეში მიდის. ერთი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქვე ბუჩქებში გადავა. ცოტა ხანში მეგობარს გამოსძახებს:

– ნიკუშ, ქაღალდი არ გაქვს?

– კარგი რა, ბიჭო, დატოვე და წამოდი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დებილი ვიყავი, შენ ცოლად რომ გამოგყევი!

– ჰო, ეგ, რომ მცოდნოდა...

●●●

მასპინძელი სტუმრებს ეკითხება:

– ხელებს საპნით დაიბანთ, თუ ჩაის დალევთ შაქრის ნატეხით?

●●●

მამა და შვილი პარკში მიდიან, კიბეებთან მივლენ და შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო, ფრთხილად, აქ საფეხურები მოყინულია და ფეხი ცურავს!

– მოკეტე, ბიჭო-ჭო-ჭო-ჭო...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენმა ქმარმა იცის, რომ ღალატობ?

– ჩემმა არა, შენმა იცის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჰარი კეინი ერთ თვეს გამოტოვებს



ტოტენჰემის ფორვარდი ჰარი კეინი დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თავისი გუნდის დახმარებას.

კეინმა ტრავმა მანჩესტერ იუნაიტედთან თამაშის დროს მიიღო და მას, სავარაუდოდ, კიდევ დასჭირდება გამოკვლევების ჩატარება.

ტოტენჰემისთვის კეინის ტრავმა დიდი დარტყმაა, რადგან მის გარეშე ამ გუნდის შეტევა გაცილებით სუსტია, ვიდრე მასთან ერთად.

გარდა ამისა, ტოტენჰემს ჰიონ მენ სონიც გამოაკლდება, რომელიც აზიის თასზე გაემგზავრა.

## პეტერ ჩეხი კარიერას ასრულებს



ლონდონის არსენალის მეკარე პეტერ ჩეხმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს.

ჩეხის თქმით, მან უკვე ყველაფერს მიაღწია კარიერაში და გაგრძელების სურვილი აღარ აქვს. – ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მაგრამ უკვე საკმარისი ვნახე და დროა, დავასრულო. წლევანდელ სეზონში ყველაფერს გავაკეთებ, რომ არსენალს დავეხმარო, შემდეგ კი უკვე ფეხბურთიდან წავალ, – განაცხადა ჩეხმა.

პეტერ ჩეხმა სახელი ლონდონის ჩელსიში თამაშით გაითქვა, სადაც 11 წელი დაჰყო, არსენალში კი 2015 წელს გადავიდა.

## ჩელსის აზარის ტრანსფერში 120 მილიონი სურს



ბოლო პერიოდში ხშირია იმაზე საუბრები, რომ ჩელსის ლიდერი ედენ აზარი გუნდის დატოვებას აპირებს. აზარის შეძენა ყველაზე მეტად რეალს სურს და თვითონ ფეხბურთელიც არ არის ამ ტრანსფერის წინააღმდეგი.

ბუნებრივია, ჩელსი თავის ლიდერს იოლად არ დათმობს და ლონდონელები აზარში 120 მილიონს ითხოვენ.

მადრიდის რეალს ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა ის არ უარყოფს აზარის მიმართ ინტერესს.

## დავიდ დე ხეა ხელფასის მომატებას ითხოვს



მანჩესტერ იუნაიტედის მეკარე დავიდ დე ხეა ხელფასის მომატებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება ეს გუნდი დატოვოს.

დე ხეას კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულში უმთავრდება და ჯერჯერობით ის ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს ამბობს.

დე ხეას ყიდვა ბევრ გუნდს სურს და, სავარაუდოდ, მანჩესტერს მოუწევს ესპანელი გოლკიპერისთვის ხელფასის გაზრდა.

ბოლო პერიოდში დე ხეა შესანიშნავად თამაშობს და ტოტენჰემის წინააღმდეგ მან 11 სეივი გააკეთა, რითიც თავის გუნდს მოაგებინა.

## ანხელ დი მარია: „მბაპე მომავალში ოქროს ბურთს მოიგებს“



ანხელ დი მარიამ თავის თანაგუნდელ კილიან მბაპეზე ისაუბრა და თქვა, რომ მბაპეს უდიდესი მომავალი აქვს და, შესაძლოა, მან ოქროს ბურთიც კი მოიგოს.

დი მარიას აზრით, მბაპეს ეს ყველაფერი შეუძლია:

– მბაპე, უბრალოდ, ფენომენია და მას სწორი განვითარება სჭირდება. თუ მბაპე ამას შეძლებს, მაშინ მას ყველაფრის მოგება შეუძლია, მათ შორის ოქროს ბურთისაც.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ცოლებმა მამაკაცის მრავალცოლიანობა გაახმაურეს



ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ კუნშანში ქალებმა მეუღლის მრავალცოლიანობა გამოაშკარავნეს, რომელიც მათ ერთმანეთისგან მალავდა.

მამაკაცმა, რომელიც უძრავი ქონების აგენტად მუშაობდა, პირველი ქორწინება 2015 წელს გააფორმა. შემდგომი სამი წლის განმავლობაში მან კიდევ ორ ქალზე ფარულად იქორწინა, რომლებიც სხვადასხვა პროვინციებიდან მისი კლიენტები იყვნენ. მან ისინი ერთმანეთისგან ერთ კილომეტრში დაასახლა და მათთან რიგ-რიგობით ცხოვრობდა, ხოლო თავის არ ყოფნას ხშირი მივლინებებით ხსნიდა. სამივე ქალს ბავშვები შეეძინათ.

სიცრუე მისმა მეორე ცოლმა გამოავლინა, რომელმაც მეუღლის სხვა ქალთან მიმოწერა შენიშნა. ის შეუმჩნევლად უკან გაჰყვა მეუღლეს, რომელიც მორიგ „მივლინებაში“ მიდიოდა და მის პირველ ცოლს მიადგა. მეორე საეჭვო დეტალს წარმოადგენდა ის, რომ მამაკაცი გარკვეული ნომრიდან შემოსულ ზარებს არ პასუხობდა. მეორე ცოლმა აღნიშნულ ნომერზე დარეკა და გაარკვია, რომ ის მამაკაცის მესამე ცოლს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ პირველმა ცოლმა განცხადება შეიტანა განქორწინებაზე, ხოლო ორმა დანარჩენმა პოლიციაში იჩივლა. მამაკაცს მრავალცოლიანობისთვის ორი წლით პატიმრობა ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**თარაზულად:** 1. ფრანგული არაყი; 6. ყუბანის კაზაკთა ჯარისკაცი მეფის რუსეთის დროს; 7. შუამარბი ფეხბურთში (მოძვ); 9. ძველფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 10. შუშა; 11. საჯიგველი (ცივი იარაღი); 13. ტროპიკული პალმა მოკლე ტანითა და გიგანტური ფოთლების ვარჯით; 15. თმის იმიტაცია; 17. მატყლის შემცვლელი ხელოვნური ბოჭკო; 18. იაპონელთა სამოსელი; 19. ყველაფრისადმი გულგრილობა; 20. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

**შვეულად:** 1. პატარა არია; 2. ქრისტეს გამცემი; 3. ჟილეტისქვეშა გახამებული გულისპირი; 4. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი მბზინავი ზედაპირით; 5. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 8. ველური ცხვარი; 9. მოძღვრება მღვდელმსახურების წესების შესახებ; 12. სურათი ზღვის ხედით; 14. სახელმწიფო ევროპაში; 16. ... გურგულია.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*